ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 12 იანვარი, 2023 №8 (9044) ფასი: 80 თეთრი

შალვა ხაჭაპურიძე მოითხოვს „ვივამედის“ ექთნის დაკითხვას, რომელიც სააკაშვილისთვის თმისა და ფრჩხილის ნიმუშის აღებას ესწრებოდა

გვ.5

გვ.5

ხრისტო გროზევი ქართველ სამართალდამცავებს მიხეილ სააკაშვილის მოწამვლის საქმის გამოძიებაში დახმარებას სთავაზობს

„ბიძინას ხელისუფლება მიშას მხრებზე დგას. ყველა თემის გადაფარვას ამით ცდილობენ“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ოცნება“ ჩიხშია შესული. არჩევანი აღარ აქვთ. სააკაშვილს ციხეში დაიტოვებენ, ვაია, გაუშვებენ, ვუია“

გვ.3



მურმან დუმბაძე: „მოსამართლეს წინ უდევს ამ ექიმების მიერ დაწერილი და მოთხრობილი სამედიცინო დასკვნები. თუ ის არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, დაამტკიცოს“

„სალომე ზურაბიშვილი მოსვენებას დაკარგავს, თუ მისი უმოქმედობით სააკაშვილი გარდაიცვლება“

გვ.3

„გრიპი საქართველოში სერიოზული დაავადება ხდება“

ვატო სურგულაძე: „ყველა მეორე ადამიანი ავად არის... სკოლებში, პრაქტიკულად, ეპიდემია დაგვეწყება“

გვ.2

„საქართველოს ომში ჩართვა უკრაინისთვისაც საზიანოა“

გიორგი გაჩეჩილაძე: „უკრაინელებმა ძალიან კარგად იციან, რომ საქართველო ომში არ ჩაერთვება, რადგან ეს მხოლოდ საქართველოსთვის კი არ იქნება საზიანო, არამედ, ზოგადად, დასავლეთისთვისაც“

„სტრატეგიულად პუტინი უკვე დავამარცხეთ“

უკრაინელი გენერალი: „დასავლეთმა სერიოზული შეიარაღება დროულად უნდა მოგვაწოდოს“

გვ.4



გვ.5

თბილისის მერია: „პარლამენტთან ჯვრის ფორმის კონსტრუქცია უნებართვოდ დგას“

გვ.6

ძაღლი პატრონის დამკრძალავ პროცესიას სათავეში ჩაუდგა და ხალხს გული აუჩუყა

გვ.5

სტუდენტმა გოგონას ტუალეტში ვიდეო გადაუღო და თავი ციხეში ამოყო

5 ურთაძელიძე: „სააკაშვილის წაყვანა-წამოყვანა მე არ მეხება“

5 ხე წაიქცა და ფოტოების გადაღებისას ფოთის მერიის პიარის სამსახურის თანამშრომელი დაშავდა

5 ციხის ზედამხედველებმა პატიმრებთან სექსის გამო თავი ციხეში ამოყვეს

6 დონბასში ბრძოლების ინტენსიურობა გაიზარდა

1993230720223

„ბიძინას ხელისუფლება მიშას მხრებზე დგას. ყველა თემის გადაფარვას ამით ცდილობენ“

გია ხუხაშვილი: „ოცნება“ ჩიხშია შესული. არჩევანი აღარ აქვთ. სააკაშვილს ციხეში დაიტოვებენ, ვაია, გაუშვებენ, ვუია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? რას ელით 2023 წელთან დაკავშირებით, რამდენად რთული წელი გველოდება?

– შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ძალიან რთული წელი გველოდება. თუ ეს დეგრადაციის პროცესი გაგრძელდა, ეს სახიფათო და შემაშფოთებელი ტენდენციები, რომლებიც მიმდინარეობს დღეს, ხელისუფლების პოლიტიკიდან გამომდინარე, ჩვენ არაფერ კარგს არ უნდა ველოდოთ. კარგს არ უნდა ველოდოთ არც საერთაშორისო კუთხით და არც შიდაპოლიტიკაში. ისევ ეს ნეგატიური ხაზი, სიძულვილის ენა, დაპირისპირება შიგნით და ეს ყველაფერი საერთაშორისო სტერილიზაციისკენ, იზოლაციისკენ მიდის. თუ უკრაინაში პოზიტიურად განვითარდა გლობალური ომის ვითარება, ჩვენი ხელისუფლება და, შესაბამისად, ქვეყანაც შესაძლოა აღმოჩნდეს ძალიან მძიმე ვითარებაში, რომლის სიმპტომებიც უკვე ჩანს.

– ყველანაირი ევროკავშირისკენ სწრაფვა, სტატუსი და ასე შემდეგ – ეს ყველაფერი გამორიცხულია?

– ევროკავშირისკენ სწრაფვა – ეს არის სიტყვები ხელისუფლების მხრიდან. საქმით ისინი მიდიან აბსოლუტურად საწინააღმდეგო მიმართულებით. აქედან გამომდინარე, რიტორიკულად შენ რომ ამბობ, ვიღაცის ოჯახში მინდა

ცხოვრებაო და იქვე დედას შეაგინებ, ამაში ლოგიკა სად არის?! ჩვენი ხელისუფლება ხომ ასე იქცევა! ამბობს, მე მინდა ევროკავშირში, მაგრამ ეგენი არიან გარყვნილები, მამაძაღლები, ჩვენი ომში ჩათრევა უნდათო. თუ ასეთი ცუდი ადამიანია, მაშინ რატომ გინდა იმ ოჯახში ცხოვრება, ხოლო თუ იმ ოჯახში ცხოვრება გინდა, მაშინ რატომ ლანძღავ?! ასეთ აბსურდში ვცხოვრობთ.

– ანუ გვიყვარდეს რუსეთიო?

– ასე გამოდის, იმიტომ, რომ დღეს სამყარო ორ ნაწილად არის გაყოფილი. დღეს მესამე არჩევანი, უბრალოდ, არ არსებობს. შენ როდესაც ამკვიდრებ ევროსკეპტიციზმს, ამით, ფაქტობრივად, ამბობ, რომ რუსეთის მხარეს ხარ.

– რა განცხადებაც არ გაკეთდა უკრაინის ხელისუფლების მხრიდან, რაც არ გვთხოვეს, ყველაფერი ომს დაუკავშირეს. ომში გვითრევენ – როდემდე იმუშავებს ეს?

– კი, ასეა. მათ საკმაოდ კარგად ამუშავეს ეს გზავნილი საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე. შეიძლება ითქვას, სტოკჰოლმის სინდრომი გამოუმუშავეს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, როდესაც უნდა გიყვარდეს შენი მწამებელი და ლანძღო ის, ვისაც უნდა ამ მწამებლისგან შენი გათავისუფლება. აი, ასეთ უცნაურ პროპაგანდისტულ და პოლიტიკურ კამპანიას აწარმოებს ხელისუფლება. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს? არ ვიცი, რა გითხრათ. ფაქტია, რომ ჯერჯერობით ამ მიმართულებით მიდიან.

– ბატონო გია, ბრძანეთ, რომ 2023 წელი საკმაოდ რთული იქნება ალბათ შიდაპოლიტიკური თვალსაზრისითაც, მით უმეტეს, 2024 წელი უკვე არჩევნების წელია. ოპოზიცია რა დღეშია, ამასაც ყველა ვხედავთ. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, რამე გადალაგება დასჭირდება ივანიშვილს თუ მარტივად შეძლებს 2024-ის არჩევნების მოგებასაც?

– გამომდინარე იქიდან, რომ მისი მთელი პოლიტიკა იმაზე კი არ არის აგებული, ამტკიცოს, რომ თვითონ არის კარგი. მისი მთელი პოლიტიკა იმაზეა აგებული, ამტკიცოს, რომ სხვები მასზე უარესები არიან.

– ეს გამოსდის კიდეც.

– სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამას ახერხებს, იმიტომ, რომ ოპოზიცია ვერანაირ პოზიტიურ დღის წესრიგს ვერ სთავაზობს საზოგადოებას, ვერ აჩენს იმედს, ვერ აღიდგენს ნდობას. ერთმანეთში კინკლაობასა და მუდმივად საქმის გარჩევებში არიან. მარტო პარტიებს შორის კი არა, შიდაპარტიული გარჩევებიც დაიწყეს. აქედან გამომდინარე, ცხადია, ბიძინას შანსები კიდევ უფრო დიდია.

– შიდაგარჩევებიო და ახლა ფარული ჩანაწერებით დაიწყეს ბრძოლა. ვინ დარჩა ამ სიტუაციაში მოგებული, ბატონო გია?

– ამას უკვე არჩევნები და ნაცმოძრაობის მხარდამჭერების სიმწიფის ხარისხი აჩვენებს. მე ვფიქრობ, რომ თუ რაციონალურ არჩევანს გააკეთებენ, წესით, მელიას საწინააღმდეგოდ კი არა, მელიას სასარგებლოდ უნდა იმუშაოს ამ ყველაფერმა, ხოლო თუ ემოციურ ტალღაზე მოხდება ყველაფერი, როგორც ხდება ხოლმე და როგორც წესია საქართველოში, მაშინ მის საწინააღმდეგოდ იმუშავებს. ძნელია ჩემი მხრიდან პროგნოზების გაკეთება, რადგან ამ პარტიის შიდასამზარეულოს არ ვიცნობ.

– ვანო მერაბიშვილს დაჰბრალდა ეს ყველაფერი. ასე აქტიურად არის ჩართული ის ამ პროცესებში?

– ნამდვილად არ ვიცი მათი შიდაამბები და კონკრეტულ ფიგურანტებზე ვერც ვილაპარაკებ.

– არჩევნები უშველის ამ პარტიას?

– მოდით, ასე ვთქვათ, როდესაც პარტიაში არის კრიზისი, ამ ტიპის კრიზისის გადალახვის ერთადერთი საშუალებაა არჩევნები. თუმცა არჩევნების ჩატარება, რა თქმა უნდა, თავისთავად არ ნიშნავს, რომ კრიზისი იქნება გადალახული, მაგრამ, თუ პარტია შეთანხმდა მარტივ პრინციპზე, რომ რითაც არ უნდა დასრულდეს არჩევნები, ვინც არ უნდა გახდეს თავმჯდომარე, მეორე მხარე მზად იქნება, რომ ამ პარტიულ დისციპლინას დაემორჩილოს, ამ შემთხვევაში კრიზისს გადალახავენ. თუ ასეთი

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„საქართველოს ომში ჩართვა უკრაინისთვისაც საზიანოა“

გიორგი გაჩეჩილაძე: „უკრაინელებმა ძალიან კარგად იციან, რომ საქართველო ომში არ ჩაერთვება, რადგან ეს მხოლოდ საქართველოსთვის კი არ იქნება საზიანო, არამედ, ზოგადად, დასავლეთისთვისაც“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებით რწმუნებულს ანდრეი კასიანოვს მიმართა მის ახალ მოთხოვნასთან, „ბუკის“ სარაკეტო კომპლექსების უკრაინისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. „ახალი თაობა“ გიორგი გაჩეჩილაძეს ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, თქვენ უკრაინის საქმეთა დროებით რწმუნებულ ანდრეი კასიანოვს მიმართვა გაუგზავნეთ მის განცხადებებთან დაკავშირებით. კასიანოვისთვის რის ახსნა გსურთ?

– უკრაინელებმა იციან, რომ უკრაინას რუსეთთან ომში სამხედრო დახმარებას უწევს 32 ქვეყანა, აქედან 24 – ევროკავშირის, ხოლო 28 ნატოს წევრია. მხოლოდ 4 ქვეყანაა, რომელიც არ არის ნატოსა და ევროკავშირის წევრი (ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთი კორეა და იაპონია), თუმცა ისინიც აშშ-სთან სამხედრო ხელშეკრულებებით აგრესიისაგან დაცული არიან.

ავსტრალიაში განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზები, შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში და დაცულია ავსტრალია-ახალი ზელანდია– აშშ-ის სამხედრო ალიანსით.

ახალი ზელანდია დაცულია ავსტრალია-ახალი ზელანდია-აშშ-ის სამხედრო ალიანსით. სამხრეთ კორეაში განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზები და აშშ-სამხრეთ კორეის თავდაცვის ხელშეკრულებითაა დაცული.

იაპონიაში განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზები და დაცულია იაპონია-ამერიკის უსაფრთხოების ხელშეკრულებით.

ევროკავშირის 4 ქვეყანა საერთოდ არ მონაწილეობს უკრაინის სამხედრო მხარდაჭერაში (ირლანდია, უნგრეთი, კვიპროსი და მალტა), აქედან 2 (ირლანდია და უნგრეთი) ნატოს წევრებიც კი არიან.

– ამით რის თქმა გინდოდათ?

– ამით იმის თქმა მინდა უკრაინელებისთვის, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც დღეისთვის უკრაინის არმიას ეხმარება, სამხედრო თვალსაზრისით მძლავრადაა დაცული.

საქართველოში კი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განლაგებულია არა ნატოს ან აშშ-ის, არამედ რუსული სამხედრო ბაზები, მძიმე შეიარაღებით, სარაკეტო კომპლექსებითა და 8000-მდე სამხედროთი, რომლებსაც მიზეზი სჭირდებათ საქართველოს მთლიანი ოკუპაციისთვის.

აქედან გამომდინარე, უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გამუდმებული შეტევა საქართველოზე და ორ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანას შორის ხელოვნური დაძაბულობის შექმნის გამუდმებული მცდელობა უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება.

ამას ჩვენი საერთო მტერი, რუსეთი რომ აკეთებდეს, გასაკვირი არ იქნებოდა, მაგრამ თვითონ რატომ ცდილობენ ამას, საქართველოს საზოგადოებისთვის ამოუხსნელ რებუსად რჩება. სწორედ ეს აღვნიშნე ბატონი კასიანოვისთვის გაგზავნილ მიმართვაში.

ყველამ იცის, რომ საქართველოს ამ საშინელ ომში ჩართვის ნებისმიერი მცდელობა (პირდაპირი თუ სხვა გზებით, მაგალითად, იარაღის მოწოდების თხოვნით) შედეგს ვერ გამოიღებს, რადგან საქართველოს ომში ჩართვას არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ევროპისთვისაც უმძიმესი შედეგები მოჰყვება.

– რატომ მოჰყვება უმძიმესი შედეგები, ზოგისთვის გაუგებარია.

– საქართველოს ომში ჩართვას უმძიმესი შედეგები მოჰყვება იმის გამო, რომ სწორედ ჩვენთან გადის ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რუსეთის ალტერნატიული სატრანსპორტო და ენერგეტიკული მაგისტრალები, რომელთა განადგურება სწორედ რუსეთის ინტერესებშია.

– ეს უკრაინელებმა არ იციან?

– შეუძლებელია, გამოცდილმა დიპლომატმა კასიანოვმა ეს არ იცოდეს. მსოფლიოში არსებობენ საქართველოზე ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით გაცილებით ძლიერი ქვეყნები, რომლებიც ფრთხილობენ და თავს

იკავებენ ამ საომარ კონფლიქტში ჩართვისაგან.

განა კასიანოვისთვის ცნობილი არ არის, რომ უკრაინას სამხედრო იარაღს ან თანხას მის შესაძენად მხოლოდ ნატოს წევრი ან მისგან დაცული ქვეყნები აწვდიან. სულ 4 ქვეყანაა, რომლებიც არ არიან არც ევროკავშირისა და არც ნატოს წევრები და ისინიც აშშ-სთან სამხედრო ხელშეკრულებებით არიან დაცული. მათ ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზებია განლაგებული.

– ისე, უკრაინა-საქართველოს ურთიერთობების ამგვარი ფორმირება სასიამოვნო ფაქტი არ არის.

– ცხადია, მაგრამ ჩვენს ქვეყნებს შორის ხელოვნური დაძაბულობის შექმნის მცდელობები ომის შემდეგ არ დაწყებულა. ჯერ კიდევ 2015 წლის 30 მაისს პრეზიდენტმა პოროშენკომ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად დანიშნა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მის წინააღმდეგ 2014 წელს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, 2015 წლის 30 ივლისს, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს შეუერთდა.

თუმცა, პოროშენკო მალევე მიხვდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა, 2017 წლის ივლისში სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა და ქვეყნიდან გააძევა. 2019 წელს, უკრაინაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ზელენსკის ხელმძღვანელობით სააკაშვილს აღუდგინეს უკრაინის მოქალაქეობა, 2020 წლის მაისში კი უკრაინის რეფორმების საბჭოს ხელმძღვანელად აირჩიეს.

არ გაითვალისწინეს ის, რომ სააკაშვილზე საქართველოში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და უკრაინაშიც 2018 წლის იანვარში წაყენებული ჰქონდა ბრალდება, უკრაინაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით რუსეთთან ფარული თანამშრომლობა, რომლის გამო დაკავებულიც იყო და პოლონეთში დეპორტირებულიც.

იქნებ განუმარტონ საქართველოს (და არა მარტო) საზოგადოებას, რა ხდებოდა და რა ხდება სინამდვილეში ორი ქვეყნის ურთიერთობაში, რატომ ცდილობენ ზოგიერთები, ხელოვნურად დაძაბონ ურთიერთობა!

ორივე ქვეყნისა და ჩვენი დასავლელი პარტნიორების ინტერესებიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ ეს გაუგებრობა შეწყდება და დავუბრუნდებით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატს, რადგან უკრაინის გარდაუვალი გამარჯვების შემდეგ ჩვენი ურთიერთობა სრულიად ახალ, დადებით იმპულსებს შეიძენს.

– სულ საუბარია იმაზე, რომ კასიანოვის განცხადებები საქართველოს ომში ჩართვას ემსახურება. კონკრეტულად რას მიიჩნევთ ომში ჩართვის მოწოდებად?

– ვფიქრობ, უკრაინელებმა ძალიან კარგად იციან, რომ საქართველო ომში არ ჩაერთვება, რადგან ეს მხოლოდ საქართველოსთვის კი არ იქნება საზიანო, არამედ, ზოგადად, დასავლეთისთვის, განსაკუთრებით, ევროპისთვის, განსაკუთრებით კიდევ აზერბაიჯანისა და შუა აზიისთვის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩვენთან გადის ის სეროზული ინფრასტრუქტურული სტრატეგიული ნავთობსადენები და სატრანსპორტო კვანძები, რომლებიც ევროპას საშუალებას აძლევს, რუსეთის გვერდის ავლით მიიღოს ბუნებრივი აირი, გადაზიდოს ტვირთები. შუა აზიაც კი ამაშია ჩართული.

ისეთი ქვეყანა, როგორიცაა ყაზახეთი, რომელიც რუსეთის პარტნიორად ითვლებოდა,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე ზურაბიშვილი მოსვენებას დაკარგავს, თუ მისი უმოქმედობით სააკაშვილი გარდაიცვლება“

მურმან დუმბაძე: „მოსამართლეს წინ უდევს ამ ექიმების მიერ დაწერილი და მოთხრობილი სამედიცინო დასკვნები. თუ ის არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, დაამტკიცოს“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე გუშინ უცხოელი ექიმები დაიკითხნენ. მოსამართლემ სააკაშვილის ჯანმრთელობაზე სრული ინფორმაცია მიიღო. რას ელით?

– ეს სასამართლო პროცესი დაუსრულებლად ვერ გაგრძელდება. ამიტომ უმჯობესია შეიგნონ, რა შეიძლება მოჰყვეს დროის უაზროდ გაჭიმვას. მათთვისვე უმჯობესია, მიიღონ სწორი და რაციონალური გადაწყვეტილება. თუ ხელისუფლება არ მიიღებს რაციონალურ გადაწყვეტილებას, საერთაშორისო ყულფი სულ უფრო მოუჭერს ბიძინა ივანიშვილს. ის აუცილებლად დასანქცირდება. ამიტომ მისთვისაც, ამ ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვისაც უკეთესია, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. ეს იქნებოდა ჩემი რჩევა მათდამი.

გუშინ გამართულ სასამართლო პროცესს თავიდან ბოლომდე ვუსმინე. ვნახე, რა კლასისა და რა დონის ექიმები გამოიკითხნენ, როგორი იყო მათი სამედიცინო დასკვნები. ხომ შეუძლებელია, ამ ექიმების დასკვნებში ეჭვი შეიტანო. ეს ხალხი თავის რეპუტაციას ხომ არაფრის ფასად არ უღალატებს. ეს ადამიანები არიან ის პროფესიონალები, მაღალი კლასის სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ რეპუტაციას არაფრის ფასად არ გაყიდიან.

მოსამართლეს წინ უდევს ამ ექიმების მიერ დაწერილი და მოთხრობილი სამედიცინო დასკვნები. თუ ის არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, დაამტკიცოს, გამოიტანოს ობიექტური და მიუკერძოებელი განაჩენი.

– ელოდებით ასეთ განაჩენს?

– არა, არა, წარმოუდგენელია. თუ „ქართული ოცნება“ დაფიქრდება და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ შეიძლება, მაგრამ არც ამის არ მჯერა.

– მაშინ, მოვლენათა როგორ განვითარებას ელოდებით?

– ეს საქმე აუცილებლად წავა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, მაგრამ მანამდე დრო არ ითმენს. თუ ადამიანი მოკვდა ან დასახიჩრდა, ცოცხალ-მკვდარი გახდა, რაღა აზრი აქვს?!

– პრეზიდენტ ზურაბიშვილის როლი როგორი შეიძლება იყოს? შეიძლება, შეიწყალოს?

– მისი პოზიციები უფრო შერბილებულია იმასთან შედარებით, როგორიც უკვე იყო. არ ამბობს – არა და არასოდეს, მაგრამ პოზიციების შერბილება არ არის საკმარისი. ქმედებაა საჭირო. ქალბატონი სალომე საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილია. ალბათ, უფრო ცივილიზებულად აზროვნებს. არა მგონია, რომ შუა საუკუნეების მსგავსად, შურისძიება იყოს მისი მამოძრავებელი იარაღი. თან, ის არის საფრანგეთის მოქალაქე. საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ალბათ საცხოვრებლად პარიზში დაბრუნდება. არა მგონია, რომ მშვიდად და ბედნიერად გააგრძელოს ცხოვრება, თუ, ყველაზე ცოტა, მისი უმოქმედობით მოკვდება ქვეყნის პრეზიდენტი. არავითარ შემთხვევაში არ მისცემს მოსვენებას იმაზე ფიქრი, რომ მას შეეძლო ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ეს არ გააკეთა, ღმერთმა დაიფაროს და, თუ ფატალურად დასრულდება ეს ყველაფერი. ამ განცდით ცხოვრებას არცერთ ადამიანს არ ვუსურვებ. ამიტომ არაფერს არ გამოვრიცხავ, შეიძლება, მან გონივრული გადაწყვეტილება მიიღოს. ვნახოთ.

– ბატონო მურმან, ნუგზარ წიკლაურის განცხადებაზე მინდა გკითხოთ, რომელიც მან ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით გააკეთა, უმჯობესია, ვანო მერაბიშვილი არაფორმალური ცენტრიდან გამოვიდეს და თქვას, რომ პოლიტიკაში დაბრუნება უნდა, „ფარდის მიღმა“ პოლიტიკა ძალიან საშიშიაო.

– აბსოლუტურად ვეთანხმები ნუგზარ წიკლაურს. არც ხელისუფლებაში და არც ოპოზიციაში არ ვარგა პოლიტიკა კულისებიდან, „ფარდის მიღმა“. მე ყველგან კონკურენციის, ღია შეჯიბრების მომხრე ვარ. პოლიტიკა ის ასპარეზია, სადაც ხალხია მთავარი და სწორედ ხალხი იღებს გადაწყვტილებებს და სხვა არავინ.

– შეიძლება, ვანო მერაბიშვილი ღიად გამოვიდეს და პოლიტიკაში ჩაერთოს? ელოდებით ამას?

– ეს მისი გადასაწყვეტია. ვერ გეტყვით, შეიძლება, გამოვიდეს კიდეც.

– ნიკა მელიასთან დაკავშირებით გავრცელებულ ფარულ ჩანაწერზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– არ მინახავს ეს ფარული ჩანაწერი. ეს საერთოდ მეასეხარისხოვანი მგონია. არ შეიძლება ასეთი წესებით პოლიტიკის კეთება. ასეთი კომპრომატები არ არის ცივილიზებული ურთიერთობის ფორმა. ეს არ არის კარგი. დემოკრატიული წესებით უნდა ჩატარდეს არჩევნები და ამ გზით უნდა გაირკვეს, ვინ არის გამარჯვებული. ჩვენ უნდა ვიყოთ სტაბილური ქვეყანა და სტაბილურ ქვეყანას ჰაერივით სჭირდება ძლიერი, კონკურენტუნარიანი ოპოზიციური ძალა. იმედი მაქვს, რომ ეს არჩევნები გააძლიერებს ნაციონალურ მოძრაობას და არა პირიქით.

„გრიპი საქართველოში სერიოზული დაავადება ხდება“

ვატო სურგულაძე: „ყველა მეორე ადამიანი ავად არის... სკოლებში, პრაქტიკულად, ეპიდემია დაგვეწყება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

– ბატონო ვატო, როგორ შეაფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ ახლა ძირითადად „ა ტიპის“ ვირუსი დომინირებს, ე.წ. ღორის გრიპი. რამდენად რთულადაა საქმე? ორშაბათიდან სასწავლო პროცესი უნდა განახლდეს სკოლებში. არის თუ არა სწავლის გადადების აუცილებლობა? რას იტყვით ამ ყველაფერზე? რა რეკომენდაციები გაქვთ?

– სამწუხაროდ, სრული ინფორმაცია არსად არ ვრცელდება იმაზე, თუ როგორია ავადობა, მიმდინარეობა. პრაქტიკულად, სტატისტიკური მონაცემები არსად არ ვრცელდება და ამის მოპოვება საკმაოდ რთულია. ამის დათვლა რთულია, სახელმწიფო კი არ ითვლის.

– რატომ?

– ბევრი აღარ მიმართავს ექიმს. ოჯახის ექიმის ინსტიტუტი, იცით, რომ მოშლილია. ამიტომაც სრული სტატისტიკა ვერ გვექნება. ხალხი ისე გადაიტანს სახლში ვირუსს, რომ ეს ინფორმაცია არ ხვდება არსად. ამიტომაც, სტატისტიკურად რა ხდება საქართველოში, მერწმუნეთ, არავინ არ იცის.

– თითქმის ყველა მეორე ადამიანი ავადაა.

– დიახ, პრაქტიკულად, ჩვენ რასაც ვხედავთ, ყველა მეორე ადამიანი არის ავად. პრობლემა ის არის, რომ არ ჩატარდა და პრაქტიკულად ჩავარდა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, უფრო სწორად, ჩააგდო ამ ე.წ. მთავრობამ. გარდა ამისა, ეს დაავადება არის ძალიან საშიში. მე სულ ვამბობ, რომ გრიპი არის ძალიან საშიში დაავადება თავისი გვერდითი მოვლენებითა და გართულებებით.

– რა შეიძლება მოჰყვეს გართულებას?

– გრიპის გართულებას შეიძლება მოჰყვეს სახსრების, შარდსასქესო, ასევე სასუნთქი სისტემის დაავადებები. ძალიან დიდხანს რჩება ხველა. შესაძლოა, სამი, ოთხი, ხუთი თვეც კი დარჩეს.

– ბავშვებში რამდენად რთულად მიმდინარეობს?

– ბავშვებს რაც შეეხება, საკმაოდ რთულად მიმდინარეობს, მაღალი სიცხეებით, ხველით და, არასწორი მკურნალობის შემთხვევაში, შეიძლება გადაიზარდოს ფილტვების ანთებაში. ვირუსული ფილტვების ანთება, როგორც კორონას დროს, არის ძალიან რთულად განკურნებადი. კი, განიკურნება, მაგრამ დიდი დრო სჭირდება.

– ბატონო ვატო, კიდევ ერთ სახიფათო ტენდენციას შევეხოთ, როდესაც თვითნებურად, ექიმის დანიშნულების გარეშე უკონტროლოდ იღებენ ანტიბიოტიკებს. ეს რამდენად სახიფათოა?

– ეს პრობლემა საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას. ვირუსული დაავადების დროს, როდესაც არის გრიპი, როცა ამას არ ახლავს ბაქტერიული ინფექცია, ანტიბიოტიკების მიღება არ შეიძლება. აზრიც არა აქვს, არ მოქმედებს. ანტიბიოტიკი ვირუსს ვერ ებრძვის, არ კლავს, მარტივად რომ ვთქვათ. ამიტომაც აქ აუცილებლად საჭიროა ექიმის დანიშნულება. თუმცა ზოგიერთი ჩვენი ექიმი ჩემში ძალიან დიდ ეჭვს იწვევს. მეორე მომენტი არის ის, რომ აფთიაქებში სრული განუკითხაობაა. რა სახის რეცეპტები არ შემოიღეს, მაგრამ არაფერი არ მუშაობს.

– რატომ არ მუშაობს?

– იმიტომ, რომ არასწორად არის გაკეთებული და მაკონტროლებელი ორგანო არ არსებობს. შედით ნებისმიერ აფთიაქში და შეგიძლიათ იყიდოთ ნებისმიერი ანტიბიოტიკი. აბსოლუტურად არავინ არ ითხოვს რეცეპტს. აი, ეს არის პრობლემა. რეალურად რომ დასჭირდება ადამიანს ანტიბიოტიკი ბაქტერიული ფილტვების ანთების დროს, მერე ეს ანტიბიოტიკი აღარ მუშაობს. მთლიანი კომპლექსური პრობლემა გვაქვს ყველა მიმართულებით. ამიტომ გრიპი საქართველოში ხდება სერიოზული დაავადება. ისედაც სერიოზულია და ჩვენთან კიდევ უფრო რთულდება საქმე. არც არანაირი ზომები არ არის მიღებული, ეს იქნება ნიღბების ტარება თუ დისტანცირება. არანაირი მოწოდება ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან, მსგავსი არაფერი არ ხდება. ჩვენ გვაქვს სიტუაცია, რომ როგორმე გადავაგორებთ.

– სწავლის დაწყებაზე გკითხეთ და რამდენად გაართულებს სიტუაციას სკოლის შენობებში ამდენი ბავშვის თავმოყრა?

– რა თქმა უნდა, გაართულებს. ვხედავთ, როგორი ცივი ამინდებია. ამ ფონზე, პრაქტიკულად, ეპიდემია დაგვეწყება სკოლებში, სადაც არც მოსამზადებელი სამუშაო ტარდება და საერთოდ არაფერი არ კეთდება. რომ გითხრათ გადაჭრით, სკოლები დაიკეტოს თუ არ დაიკეტოს, მე მჭირდება ამისთვის სტატისტიკური მონაცემები ანალიზის გასაკეთებლად, რომელსაც, უბრალოდ, ვერსად ვერ მოიპოვებთ.

„ბიძინას ხელისუფლება მიშას მხრებზე დგას. ყველა თემის გადაფარვას ამით ცდილობენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

შეთანხმება ვერ შედგა, მაშინ არჩევნებსაც აზრი არა აქვს.

– ბატონო გია, სააკაშვილის საკითხიც დამოკლეს მახვილივით კიდია ამ ხელისუფლების კისერზე. როგორ გადაწყდება ეს საკითხი? როცა უნდათ, ჭკუასუსტია, როცა უნდათ, საღი გონება აქვს. როგორაა ეს ამბავი?

– მუშაობენ გარკვეულ სეგმენტზე. ფაქტობრივად, მათ ხომ სხვა ვერაფერი ვერ ისწავლეს. 10 წელია, მთელი მათი პოლიტიკა აგებულია მიშას დემონიზაციაზე. პირველ ეტაპზე ყვიროდნენ, მგელი მოვაო. ახლა მგელი გალიაში გვყავსო. ამაზე აქვთ აგებული მთელი პოლიტიკა და, იქიდან რომ გამოვიდეს მიშა, რაღაც საშინელება მოხდება. სხვა, უბრალოდ, არაფერი არ იციან. მათ ენანებათ ამ ფაქტორის მოხსნა. ფაქტობრივად, ბიძინას ხელისუფლება ხომ მიშას მხრებზე დგას.

– ყველა თემის გადაფარვას ამით ცდილობენ?

– რა თქმა უნდა. ახლა არგუმენტი საზოგადოებასთან სალაპარაკოდ მათ არა აქვთ. ამიტომ ეპოტინებიან ამ თემას და მთლიანად ამაში არიან ჩაციკლულები. მეორე საკითხია, რომ გარკვეულ ჩიხში შევიდნენ ამ თემით. ახლა არიან მდგომარეობაში, როდესაც კარგი არჩევანი აღარ დაიტოვეს, ანუ ციხეში დაიტოვებენ, ვაია, გაუშვებენ, ვუია.

– ამ ფონზე დასავლეთიდანაც იზრდება ზეწოლა.

– დიახ. ამ და კიდევ სხვა თემების გამო განიცდიან სრულ იზოლაციას. მათ შორის პირადი პრობლემები აქვს ამ ყველაფრის გამო ბიძინა ივანიშვილს. ანგარიშები გაუყინეს. თუმცა, აღარ იცის, რა ქნას. ისე შორს შევიდნენ ამ თამაშში, რომ აღარ დაიტოვეს კარგი გამოსავალი. ცუდსა და უარესს შორის რომელი ჯობია, ამაშიც ვერ გაერკვნენ ჯერჯერობით. ვერ იღებენ ვერანაირ გადაწყვეტილებას. ამიტომ არიან გაჯიქებულები, დგანან პოზაში, ელოდებიან სასწაულს და, რაში მდგომარეობს ეს სასწაული, თვითონაც არ იციან.

– ბიძინა ივანიშვილი ამ ფონზე ეპოტინებიან ამ თემას. ეს ეფექტურია?

– ეს ეფექტურია, ეფექტურია ... ეს ეფექტურია ... ეს ეფექტურია ... ეს

„სტრატეგიულად პუტინი უკვე დავამარცხეთ“

უკრაინელი გენერალი: „დასავლეთმა სერიოზული შეიარაღება დროულად უნდა მოგვაწოდოს“

მარიამ მჭედლიშვილი

მოასწავებს თუ არა აშშ-ის პრეზიდენტის განცხადება უკრაინისათვის მძლავრი და დიდი რაოდენობით შეიარაღების მიწოდების დაჩქარებას? როგორი პოზიცია უკავია დასავლეთს? უნდა თუ არა დასავლეთს რუსეთის დაშლა? — ამ და სხვა საკითხებზე უკრაინული მედიის შეკითხვებს უპასუხა უკრაინელმა გენერალმა ნიკოლაი მალომუჟმა.

– აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ნიშანდობლივი განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ომმა უკრაინაში კრიტიკულ წერტილს მიაღწია და უკრაინის სახელმწიფოს ესაჭიროება მაქსიმალური დახმარება. ბაიდენის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, გარდამტები მომენტი წინ არის. რას უნდა ნიშნავდეს თეთრი სახლის მეთაურის ასეთი განცხადება?

– სტრატეგიულად ჩვენ პუტინი უკვე დავამარცხეთ. მას არ გამოუვიდა გეგმების რეალიზაცია მთელი უკრაინის დაპყრობის, გარკვეული ტერიტორიების მიტაცების, მთელი დონბასის, მთელი სამხრეთის დაპყრობის შესახებ. პუტინის რეალური მარცხი სახეზეა.

ჩემი აზრით, გარდატეხა ომში მოხდა რამდენიმე თვის წინ, როცა შევინარჩუნეთ კიევი და წავედით ხარკოვისკენ. გარდატეხის ერთ-ერთი ელემენტია ხერსონის გათავისუფლება. ეს ერთმომენტიანი პროცესი არ გახლავთ. ესაა გამარჯვებებისა და გარდატეხების ხანგრძლივი ეტაპი. ვფიქრობ, ბაიდენი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ შესაძლებელია ახალი გადამწყვეტი ეტაპები ამ ომში. ესაა სტრატეგიული შეტევითი ოპერაციების მომზადება და ჩატარება და ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიების გათავისუფლება. მაგალითად, ზამთარსა და გაზაფხულზე შესაძლებელია მძლავრი ოპერაციები ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქებში, ყირიმამდეც კი, აგრეთვე შეტევა ლუგანსკის მიმართულებით, დარტყმები დონეცკის დაჯგუფებაზე დონბასის გასათავისუფლებლად.

ამ ფონზე საგანგებოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია პუტინის რეჟიმის დასუსტება და, შესაძლოა, დეზორიენტაცია და დაცემაც კი. ეს შესაძლებელია წარმატებული სტრატეგიული ოპერაციებისა (უკრაინის მხრიდან) და რუსეთზე მძლავრი საერთაშორისო ზეწოლის პირობებში. საერთაშორისო წნეხი უნდა განხორციელდეს არამარტო ბირთვული იარაღის გამოყენების საკითხზე, მან უნდა მოიცვას შეიარაღებისა და ტექნიკის წარმოების, რუსეთის ეკონომიკური და ფინანსური მხარდაჭერის ყველა ფორმა, ბაზრების შეზღუდვა. ყველაზე მთავარი ფაქტორი მაინც ჩვენი გამარჯვებაა. ვფიქრობ, რომ ჩვენ რაღაც სისტემური ცვლილებების ზღვარზე ვდგავართ.

– შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს მიზანი შედარებით ადვილად მიიღწევა?

– ეს მარტივი ფორმატი არ არის. გველის მძიმე ომი, მძიმე პერიოდი. რუსეთს ესმის, რომ აგებს და ცდილობს რესურსების გაზრდას ყველა ფორმატში. რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი დღე და ღამე მუშაობს. უშვებენ ბალისტიკურ რაკეტებსა და სხვა შეიარაღებასა და ტექნიკას, არემონტებენ ძველ ტექნიკას. რუსეთში ემზადებიან მობილიზაციის ახალი ეტაპისათვის. ამიტომ გამარჯვება ადვილი არ იქნება.

მიმაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი ეტაპი უზრუნველყოფილი უნდა იყოს უკრაინის შეიარაღებული ძალების ეფექტიანი საქმიანობით, რომელსაც ახლავს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ასევე ევროკავშირის სახელმწიფოების მხრიდან (პირველ რიგში, იმ ქვეყნებისა, რომლებმაც ამ დღეებში ივალდებულეს, მოგვაწოდონ ახალი შეიარაღება და ტექნიკა. ესენია: გერმანია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი) ძლიერი დახმარება.

ეს დახმარება უნდა იყოს სწრაფი. თუ ვაჭიანურებთ ამ პროცესს, რუსეთი რესურსს მოაგროვებს. ის გაშლის, გააფართოვებს თავის ძალებს და ეს იქნება მძიმე ომი. დროის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. ბაიდენის სიტყვები შეიძლება შეფასდეს, როგორც მითითება უკრაინაში ძალებისა და საშუალებების, დამატებითი შეიარაღებისა და ტექნიკის, საბრძოლო მასალების, ჭურვების, საჰაერო

„დასავლეთი რუსეთის დასუსტებას ცდილობს. ის რუსეთის დაშლისათვის მზად არ არის“

თავდაცვისათვის რაკეტების სწრაფ მიწოდებაზე.

– თუ სამხედრო დახმარება უკრაინაში სწრაფად არ შემოვა, რა საფრთხეა მოსალოდნელი?

– თუ დასავლეთი გააჭიანურებს ამ დახმარებას, უკრაინა ვერ შეძლებს სტრატეგიული შეტევითი ოპერაციების განხორციელებას. ტაქტიკურს – კი, მოხდება უკრაინის ტერიტორიის ეტაპობრივი გათავისუფლება, მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია და ეს აძლევს ფორას რუსეთს.

კრემლში ესმით, რომ შემდგომშიც შეუძლიათ შეინარჩუნონ საზღვრები ბახმუტის, ლუგანსკის, ზაპოროჟიეს, ხერსონის მიმართულებებზე. ეს აძლევს მეტ პერსპექტივას რუსეთს ახალი შეტევითი ოპერაციების ჩატარების ჭრილში. ამიტომ ჩვენმა სამხედრო სარდლობამ ძალიან ოპერატიულად უნდა იმოქმედოს. ყველა რესურსია ასამოქმედებელი ეფექტიანი იერიშისათვის, ასევე ფლანგებისა და ზურგის უზრუნველყოფისათვის.

– ვამჩნევდით ნიშნებს, რომ დასავლეთი გარკვეულად ახდენდა უკრაინის საბოლოო გამარჯვებისა და რუსეთის არმიის საბოლოო განადგურების დროში გადადებას. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ბაიდენის ზემოთ ხსენებული განცხადება წერტილს დასვამს ამ ომში და რომ დასავლეთი უკვე მზადაა ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისათვის?

– სტრატეგიულად დასავლეთი მზადაა უკრაინის სრული გამარჯვებისათვის, მაგრამ ის არასაკმარისს აკეთებს იმისათვის, რომ ეს გამარჯვება სწრაფი იყოს. არსებობს პოლიტიკური შიში იმისა, რომ გლობალურად ნატოს ქვეყნები ჩაერთვებიან რუსეთთან ომში. ეს არ სურთ.

აშკარაა, რომ რუსეთი არაფერს უწევს ანგარიშს. ის აყენებს დარტყმებს უკრაინის მთელ ტერიტორიას, სამოქალაქო ობიექტების ჩათვლით. ეს არის ქვეყანა-ტერორისტი. ამიტომ აქ არანაირი შეზღუდვა აღარ უნდა იყოს. სიფრთხილე უკრაინისათვის შორ მანძილზე ბრძოლის შეიარაღების მოწოდებაზე ჯერ კიდევ მუშაობს. ჩემი ვარაუდით, ის მომავალშიც იმუშავებს. გამონაკლისი იქნება მეტ-ნაკლებად ეფექტური შეიარაღება, მაგალითად, ჯავშანტრანსპორტიორები, გარკვეული სიშორის სარაკეტო სისტემები, მაგრამ არა – შორეული. ჩვენ გვესაჭიროება არა ათობით, არამედ, ასეულობით სარაკეტო სისტემები, ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, საჰაერო თავდაცვის სისტემები და, რაც მთავარია, ასეულობით ათასი, მილიონობით საბრძოლო მასალა და რაკეტა, რომლებიც უკვე მოგვეწოდებოდა.

– თქვენი შეფასებით, მზადაა თუ არა დღეს დასავლეთი, აღიაროს რუსეთის დაშლის გარდაუვალობა?

– დღეს დასავლეთი მზად არ არის რუსეთის დაშლისათვის. მას უნდა პუტინის დასუსტება, რათა მან აღიაროს წაგების პირობები უსაფრთხოების გარანტიების, დემილიტარიზაციის, ომის დროს ნგრევით გამოწვეული კომპენსაციის ჩათვლით.

ვფიქრობ, რომ დასავლეთი გააგრძელებს რუსეთის ძლიერად დასუსტებას დეგრადაციამდე პუტინთან ერთად ან, უფრო მეტად, პუტინის გარეშე, თუმცა, იმ რეჟიმით, რომელიც შეინარჩუნებს კონტროლს რუსეთის ფედერაციაზე.

„საქართველოს ომში ჩართვა უკრაინისთვისაც საზიანოა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რუსეთის გავლით ნავთობის მიწოდებაზე უარს ამბობს. ყაზახეთი ახლა მზადაა, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობი გადაზიდოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია.

საქართველოს ომში ჩართვა უკრაინისთვისაც საზიანოა. აქედან გამომდინარე, უკრაინამ, უკრაინის ხელისუფლების გარკვეულმა წევრებმა და თვითონ ამ კასიანოვმაც, რომელსაც დიდი დიპლომატიური გამოცდილება აქვს, ძალიან კარგად იციან, რომ საქართველო ომში არ ჩაერთვება – არ დააზიანებს არც უკრაინას, არც ევროპას, არც აზერბაიჯანს, არც შუა აზიასა და არც საკუთარ თავს.

ზოგი რომ ფიქრობს, აქ მეორე ფრონტი გაიხსნება და ამით ვინმე მოიგებსო, ასე კი არ იქნება,

– აბა, როგორ იქნება?

– ასე ვინც ფიქრობს, გულუბრყვილოა და პიარის გავლენის ქვეშ არის. ახლა რუსეთი საქართველოში ტანკებით კი აღარ შემოვა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სააკაშვილის ძალიან დიდი ძალისხმევით რუსული სამხედრო ბაზები აღდგენილია.

აფხაზეთსა და ცხინვალში აღდგენილ სამხედრო ბაზებზე რუსეთის სარაკეტო დანადგარები დგას. თუ ვინმე აკვირდება, რუსეთი ბალისტიკურ რაკეტებს უკრაინაში საიდან ისვრის, მიხვდება, რა საშიშროების წინაშე ვდგავართ.

– რას გულისხმობთ, საიდან ისვრის?

– კასპიის ზღვიდან, წარმოგიდგენიათ? რუსეთი კასპიის ზღვაზე განლაგებული რუსული სამხედრო გემებიდან უკრაინაში ბალისტიკურ რაკეტებს ისვრის. საქართველოს ინფრასტრუქტურას დაბომბავს, გაანადგურებს ჩვენს გეოპოლიტიკურ შესაძლებლობას და ამით დაამთავრებს.

რუსეთს რაც უნდოდა – სამაჩაბლო და აფხაზეთი – ხელში აქვს ჩაგდებული. რუსეთმა თავისი ძირითადი მიზანი შეასრულა, სამხედრო ბაზების რეანიმაცია მოახდინა.

– მაინც კასიანოვის რომელი განცხადებაა იმის მანიშნებელი, რომ საქართველოს ომში ჩართვა სურთ?

– თვითონ ის მოწოდება. სამხედრო იარაღი მოგვაწოდეთ, დაგვიბრუნეთ „ბუკები“, დაგვიბრუნეთ ჩვენი მოწოდებული იარაღიო (იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, ვინ როგორ იტყვის), ნიშნავს მოწოდებას, უკრაინის მხარეს ჩაერთეთ რუსეთის წინააღმდეგ, თქვენი იარაღის დახმარებით ომში მონაწილეობა მიიღეთო.

– კასიანოვმა ამერიკა დაადანაშაულა უკრაინის მხარეს საქართველოს ომში ჩართვის მცდელობაშიო. ამერიკას საქართველოს ომში ჩართვა უნდა?

– არა მგონია, ამერიკა ამას ცდილობდეს. ვფიქრობ, აშშ-ის რომელიმე წარმომადგენელი ამაზე განცხადებას გააკეთებს. პირიქით, ამერიკა, ევროპა და მთელი დასავლეთი საქართველოს ძალიან უფრთხილდებიან სწორედ იმ მიზეზების გამო, რაც ზევით ვთქვი – გეოპოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და რუსეთის ალტერნატიული ენერგეტიკული ხაზების გამო.

– უკრაინამ არ იცის, რომ ალტერნატიული ენერგეტიკული ხაზები საქართველოზე გადის, რატომ აკეთებენ ისეთ განცხადებებს, რომლებიც დასავლეთისთვის მნიშვნელოვან პროექტებს საფრთხეს უქმნის?

– ეს ხომ ახლა არ დაწყებულა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, თანამდებობაზე მაინც დანიშნეს.

– სააკაშვილი მათთვის ასეთი მნიშვნელოვანია?

– უკრაინის ზოგიერთი წარმომადგენლის პოლიტიკური ქმედებები (2015 წლიდან დაწყებული) და განცხადებები საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობის გაფუჭებას ემსახურება. ძალიან კარგად იციან, რომ საქართველო, საერთაშორისო ინტერესებიდან გამომდინარე, ომში არ ჩაერთვება, რადგან ამით დასავლეთს უზარმაზარ ზიანს მიაყენებს. ამაშია ამ საკითხის მთელი ფილოსოფია.

ახლა რატომ ხდება უკრაინა-საქართველოს ურთიერთობების გაფუჭება, ამაზე გარკვეული ინფორმაცია მე კი მაქვს, ჩემი საერთაშორისო ურთიერთობებიდან გამომდინარე, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ გეტყვით. ბოლო დროს დანიაში ვიყავი, სადაც უამრავი დელეგაცია იყო ჩამოსული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, უკრაინიდან. იქ ბევრი ინფორმაცია მივიღე, მაგრამ ახლა ვერ ვიტყვი.

უკრაინაში ომი რომ დამთავრდება, მაშინ შემიძლია, თავისუფლად ვილაპარაკო.

– რუსეთმა, ფაქტობრივად, უკრაინა გადახნა, უკრაინას 2007 წელს შეძენილი ჩვენი გაფუჭებული შეიარაღება ვის რაში უნდა და რას უზამს? დასავლეთს უახლესი ტექნიკა აქვს და ეხმარება კიდეც. ამ ვითარებაში თუ ჩვენ დასავლეთს დავეხმარებით, ირიბად უკრაინასაც არ ვეხმარებით? არ უნდათ, რუსეთი დამარცხდეს, ჩვენ რატომ გვებრძვიან, გაუგებარია.

– რატომ გვებრძვიან, ამის ინფორმაციები არსებობს, მაგრამ ახლა ვერაფერს ვიტყვი. როცა ომი დამთავრდება, მერე ვიტყვი, ახლა ქვეყანა ომშია ჩაბმული.

აშშ-მ უკრაინისათვის განკუთვნილ დახმარების პაკეტში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა

როგორც ცნობილია, აშშ-მ უკრაინას დახმარების ახალი პაკეტი გამოუყო. მასში ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა.

ამერიკელების უკანასკნელმა ნაბიჯმა რუსები გააბრაზა. რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ პირდაპირ მუქარასაც არ მოერიდა:

– ჩვენ ისეთი რაკეტები გვაქვს, რაც არავის არ მოეპოვება! ახლა მათ აუცილებლად ავამოქმედებთ, – აცხადებს შოიგუ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ხარკოვში ჩავიდა

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალინა ბერბოკი ხარკოვში ჩავიდა. ის პირველი ევროპელი მინისტრია, რომელმაც საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ მოინახულა აღმოსავლეთი უკრაინა.

ბერბოკმა გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსულენოვანმა ხარკოვმა ოკუპანტებს ასეთი მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. ხარკოვშჩინის მოსახლეობა ძირითადად რუსულენოვანია. რუსეთის საზღვარს ხარკოვი მხოლოდ 49 კმ-ითაა დაშორებული, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს.

– ხარკოველთა მენტალიტეტი აბსოლუტურად განსხვავებულია რუსებისაგან! ამიტომ პუტინის რუსული სამყარო მათთვის უცხო და მიუღებელია, – თქვა ბერბოკმა.

ბრძოლები უკრაინის სამხრეთში

უკრაინის სამხრეთში გაფთრებული ბრძოლებია. ოკუპირებულ ყირიმში კვლავ აფეთქებათა მთელი სერია მოხდა. დაღუპულთა შორის არიან როგორც რუსი ჯარისკაცები, ისე ადგილობრივი კოლაბორაციონისტები.

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე მედვედევმა განაცხადა, რომ აუცილებელია სამხედრო კონტრდაზვერვა „სმერშის“ (სიკვდილი ჯაშუშებს) აღდგენა, რათა ფიზიკურად გაანადგურონ ყველა ბანდიტი და მათი დამქაში.

ხერსონსჩინაზე დაძაბული ბრძოლებია. უკრაინელებმა ხერსონთან რუსების სამხედრო გემი ააფეთქეს. ეს უკვე მე-17 რუსული გემია, რომლის აფეთქებაც მოხერხდა. თანახმად „რბკ-უკრაინის“ ცნობისა, უკრაინელმა სამხედროებმა დნეპრზე რუსული სამხედრო კატარღაც ააფეთქეს.

რაც შეეხება ბრძოლებს, ისინი როგორც ხერსონის, ისე ზაპოროჟიეს ოლქებში პოზიციურ ხასიათს ატარებს. რუსებმა ცადეს, გულიაი-პოლესთან (ზაპოროჟიეს ოლქი) წინ წაწეულიყვნენ, მაგრამ მცდელობა მარცხით დასრულდა. სამაგიეროდ, უკრაინელი პარტიზანების აქტიურობა სულ უფრო იზრდება ოკუპირებულ მელიტოპოლში. იქ აფეთქებების სერია არ წყდება. რუს სამხედროებს შორის დიდძალი მსხვერპლია.

მსგავსი სურათია ბერდიანსკშიც. ქალაქში გამოჩნდნენ გაძლიერებული საპატრულო ჯგუფები. ბერდიანსკის თავზე კი რუსული სამხედრო ვერტმფრენები დაფრინავენ.

ხრისტო გროზევი ქართველ სამართალდამცავებს მიხეილ სააკაშვილის მოწამვლის საქმის გამოძიებაში დახმარებას სთავაზობს

Bellingcat-ის საგამოძიებო ჯგუფის აღმასრულებელმა დირექტორმა ხრისტო გროზევმა „დოუდის“ ეთერში საჯაროდ მიმართა საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს და შესთავაზა დახმარება და თანამშრომლობა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოწამვლის საქმეში გამოძიებასთან დაკავშირებით.

– დარწმუნებული ვარ, რომ ისინი (საქართველოს ძალოვანი უწყებები) დაინტერესებული არიან ამ გამოძიებით. ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ, თუ მათ სურთ, გაგვიზიარონ მონაცემები საეჭვო ადამიანების ნებისმიერი გადაადგილებისა და საზღვრის კვეთის შესახებ, რაც, მათი აზრით, საჭიროებს დამატებით გადამოწმებას, – განუცხადა გროზევმა ტელეკომპანიას.

გროზევის თქმით, ჟურნალისტები გაეცნენ ამერიკელი ტოქსიკოლოგის დასკვნას, რომელმაც გამოიკვლია პოლიტიკოსის ნიმუშები, გაიარა კონსულტაცია რუს ექსპერტებთან ქიმიურ იარაღზე და მივიდნენ დასკვნამდე, რომ სააკაშვილის მძიმე ლითონებით მოწამვლის ვერსია, სავარაუდოდ, არსებობდა.

გარდა ამისა, გროზევის თქმით, არსებობს მოტივი – სააკაშვილი „შეყვანილია „ეფ-ეს-ბე“-სა და „სახელმწიფო დაზვერვის სამმართველოს“ მტრების წრეში, რომლებსაც შეეძლოთ ასეთი გადაწყვეტილების მიღება“.

ცნობისთვის, 4 იანვარს მიხეილ სააკაშვილმა ხრისტო გროზევს მიმართა. სააკაშვილი მიმართვაში საუბრობს იმაზე, რომ „საწამლავი და მძიმე მეტალები აღმოჩნდა“ მის თმასა და ფრჩხილებში და გროზევს მოუწოდებს, თუ შეუძლია გამოიძიოს რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული ფარული და ოლიგარქიული სქემები, რაც, სააკაშვილის შეფასებით, მნიშვნელოვანი იქნება მისი სიცოცხლის გადარჩენისთვის.

შალვა ხაჭაპურიძე მოითხოვს „ვივამედის“ ექთნის დაკითხვას, რომელიც სააკაშვილისთვის თმისა და ფრჩხილის ნიმუშის აღებას ესწრებოდა



ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის გუშინდელ სასამართლო პროცესზე „ვივამედის“ ექთნის დაკითხვას მოითხოვენ, რომელიც მიხეილ სააკაშვილისთვის თმისა და ფრჩხილის ნიმუშის აღებას ესწრებოდა.

ამის შესახებ ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ საქალაქო სასამართლოსთან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– გარკვეული მოწმის დაკითხვას მოვითხოვთ დღეს, „ვივამედის“ ერთ-ერთი ექთნის. ის ესწრებოდა იმ დალუქვის პროცესს, როდესაც ბატონმა ლახანმა აიღო თმისა და ფრჩხილების ნიმუშები. ამ ეტაპზე გვექნება შუამდგომლობა, რომ ყოველდღე ჩატარდეს პროცესები, – აღნიშნავს ხაჭაპურიძე.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც ხაჭაპურიძე განმარტავს, მიხეილ სააკაშვილი 73 კილოგრამს იწონის.

– მიხეილ სააკაშვილთან გავიარეთ დაკითხვის საკითხები, საუბარი იყო წონაზე. ექსპერტს აინტერესებდა მისი წონა და 73 კილოგრამი იყო ამ დილით. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები გავიარეთ, – აღნიშნავს ხაჭაპურიძე.

„თარჯიმნად მოწვეული პირი მიკერძოებულია“ — პენიტენციარულმა სამსახურმა ლევან მეტრეველის აცილება მოითხოვა

თარჯიმნად მოწვეული პირი არის ცალსახად მიკერძოებული და არსებობს აცილების საფუძველი – პენიტენციარული სამსახური ლევან მეტრეველის აცილებას ითხოვს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესებზე თარჯიმანია და ის ამერიკელი ექსპერტების ჩვენებებს თარგმნის. პენიტენციარულის მტკიცებით, მეტრეველის საჯარო განცხადებები და წინასასამართლო სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები მიკერძოებულია.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი ამბობს, რომ შუამდგომლობა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მეტრეველი ექიმია და ოფიციალურად აქვს უფლება მოპოვებული, შეასრულოს თარჯიმნის ფუნქცია, ერთ-ერთი სათარგმნელო ბიუროს მხრიდან.

გარდა ამისა, ხაჭაპურიძის თქმით, მეტრეველს სამედიცინო განათლება აშშ-ში აქვს მიღებული და კარგად იცნობს სპეციფიკურ ტერმინოლოგიას, არ წარმოადგენს მხარეს და გაფრთხილებულია, რომ არასწორი ან ცრუ თარგმანის შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება.

მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, თუმცა მეტრეველს მოუწოდა, საჯარო სივრცეში თავი შეიკავოს განცხადებებისგან სასამართლო პროცესების დასრულებამდე.

მეტრეველმა მოსამართლეს უთხრა, რომ ამ პირობას ვერ მისცემს და საჯარო განცხადებების გაკეთებისგან თავის შეკავებას არ აპირებს, რაზეც მოსამართლემ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში მოუწევთ მასთან დამშვიდობება.

საბოლოოდ, მოსამართლემ აცილების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ლევან მეტრეველი დღევანდელ სასამართლოზე მონაწილეობას მიიღებს, თუმცა არევაძემ არ გამორიცხა, მომდევნო სხდომაზე ისევ მიუბრუნდეს ამ საკითხს.

ურთქმელიძე: „სააკაშვილის წაყვანა-წამოყვანა მე არ მეხება“

პენიტენციარული სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ურთქმელიძე მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შეკითხვაზე, რატომ არ მიჰყავთ მიხეილ სააკაშვილი სასამართლო პროცესზე, პასუხობს, რომ კლინიკა „ვივამედი“ და მკურნალი ექიმი არ გასცემს მიხეილ სააკაშვილის ტრანსპორტირების ნებართვას, გარდა ამისა, მათივე თქმით, სასამართლო სხდომაზე დასწრებაზე უარს თავად მიხეილ სააკაშვილი ამბობს და მისი სასამართლოზე წაყვანა-წამოყვანა მას არ ეხება.

შალვა ხაჭაპურიძე პენიტენციარულს მიმართავს, დაინტერესდნენ თუ არა იმ ფაქტით, რატომ ვერ ესწრება მიხეილ სააკაშვილი მაისის შემდეგ მისივე სასამართლო პროცესებს.

მოსამართლე გიორგი არევაძემ სხდომის დასაწყისში გუშინ პენიტენციარულის წერილი წაიკითხა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მიხეილ სააკაშვილი სხდომას ვერც ფიზიკურად და ვერც დისტანციურად ვერ დაესწრებოდა. წერილს, მოსამართლის თქმით, ხელს აწერს თავად მიხეილ სააკაშვილიც, მიზეზად კი მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა სახელდება.

გორში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისს თავს დაესხნენ

გორში, გარსევანიშვილის ქუჩაზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისს თავს დაესხნენ. გუშინ დილით პარტიის წევრებს ოფისის შუშები ჩამსხვრეული დახვდათ. შემთხვევა, სავარაუდოდ, გუშინწინ, ღამით მოხდა.

ოპოზიციური პარტიის წევრებმა სამართალდამცავ უწყებას მომხდარის შესახებ უკვე შეატყობინეს.

იმერეთში ქარმა ხეები და ელექტროგადამცემი ბოძები წააქცია

სტიქია იმერეთში – ძლიერმა ქარმა რეგიონში პრობლემები შექმნა. მოგლეჯილია ხეები, წაქცეულია ელექტროგადამცემი ბოძები, დაზიანებულია კაბელები.

ქარი ქუთაისში 10 იანვარს, ღამით, გაძლიერდა. მუნიციპალიტეტის ნაწილს არ მიეწოდება ელექტროენერგია და წყალი. ქალაქში შესაბამისი სამსახურები მუშაობენ.

სამეგრელოში წაქცეულია ხეები, სახლებს გადახდილი აქვს სახურავები

ძლიერმა ქარმა სამეგრელოში პრობლემები შექმნა. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში წაქცეულია ხეები და რამდენიმე სახლს სახურავი აქვს გადახდილი. დაშავებული არავინაა.

განსაკუთრებით ძლიერი ქარია ანაკლიაში, სანაპირო ზოლზე. სამაშველო სამსახური, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მუშაობის საგანგებო რეჟიმზეა გადასული.

ხე წაიქცა და ფოტოების გადაღებისას ფოთის მერიის პიარის სამსახურის თანამშრომელი დაშავდა

ფოთში მერიის პიარის სამსახურის თანამშრომელს ხე დაეცა. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ფოტოებს იღებდა, რათა აღებეჭდა, რომ დასუფთავების სამსახური და ადგილობრივი ხელისუფლება უამინდობის გამო გამოწვეულ პრობლემებს დროულად აგვარებენ და გაწმენდით სამუშაოებს ასრულებენ.

ფოტოგადაღების დროს ხე წაიქცა და ის ტოტებს შორის მოყვა. მერიის თანამშრომელს ხელი აქვს მოტეხილი და მენჯ-ბარძაყის ძვალი დაზიანებული, სავარაუდოდ, მოტეხილი. მერიის დაშავებული თანამშრომელი ფოთის საავადმყოფოშია მოთავსებული და, არსებული ინფორმაციით, ქუთაისში გადაიყვანენ.

ამ დროისთვის კომენტარს არც საავადმყოფოში და არც ფოთის მერიაში არ აკეთებენ.

თბილისის მერია: „პარლამენტთან ჯვრის ფორმის კონსტრუქცია უნებართვოდ დგას“

– თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში პარლამენტთან ჯვრის ფორმის კონსტრუქციის განთავსების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იძებნება, – ნათქვამია მერიის არქიტექტურის სამსახურის საპასუხო წერილში, რომელიც დეპუტატმა ხათუნა სამნიძემ მისი მიმართვის საპასუხოდ მიიღო.

ხათუნა სამნიძე დაინტერესდა, რამდენად კანონიერი იყო კონსტრუქცია.

– მიპასუხეს, როგორც იქნა, მერიიდან:

ჯვრის ფორმის რკინის კონსტრუქციის ჩარჭობაზე ნებართვა არ არსებობსო! უკანონოა – დაგვიდასტურეს!

გაგრძელება არ აქვს – ადმინისტრაციული საქმისწარმოება თუ დაიწყეთ-თქო, ამაზე პასუხი არაა. დედაქალაქის შუაგულში უკანონო კონსტრუქცია დგას და რეაქცია არ აქვს მერიას! ძალიან მაგრები არიან, – აცხადებს სამნიძე.

კალეიდოსკოპი

ციხის ზედამხედველებმა პატიმრებთან სექსის გამო თავი ციხეში ამოყვეს

2017 წლიდან მოყოლებული, ბრიტანეთის ქალაქ რექსემის ციხის სამი თანამშრომელი ქალი პატიმრებთან სქესობრივი ურთიერთობის გამო გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

26 წლის ემილი უოტსონმა თანამდებობრივი დანაშაული 2017 წელს ჩაიდინა. მან ინტიმური ურთიერთობა პატიმარ ჯონ მაკგისთან დაამყარა, რომელიც სასჯელს მანქანის უყურადღებოდ მართვის შედეგად მოქალაქის მკვლელობისთვის იხდიდა. უოტსონს მასთან ორჯერ ჰქონდა სქესობრივი კავშირი, ასევე რამდენიმეჯერ გაუგზავნა ტელეფონზე ეროტიკული სურათები, რომელიც მანვე ციხეში ჩუმად შეუტანა.

ორი წლის შემდეგ ციხის თანამშრომელი, 27 წლის აიშე განი, პატიმარ ჰურამ რაზაკთან რომანის გაბმისთვის გაასამართლეს. რაზაკი სასჯელს ძარცვის მცდელობისთვის იხდიდა. ქალმა მას ათასზე მეტჯერ დაურეკა და მათი ნაწილი ეროტიკული შინაარსის იყო. განს ფოტოსურათი იმ დროს გადაუღეს, როდესაც ის პატიმარს კოცნიდა და სახელმწიფო სამსახურში არასამართლებრივი ქმედება დასდეს ბრალად.

ციხის ბოლო თანამშრომელი ქალი, რომელიც პატიმართან ინტიმური ურთიერთობისთვის გაასამართლეს, ჯენიფერ გავანი გახდა. მას ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა პატიმრობაში მყოფ ალექს კოკსონთან 2020 წლის აპრილიდან ივლისის ჩათვლით. ქალმა მას ასევე ტელეფონი შეუტანა ციხეში და საკუთარ ეროტიკულ ფოტოსურათებს უგზავნიდა. 2021 წლის დეკემბერში გავანს რვა თვით პატიმრობა შეეფარდა.

სტუდენტმა გოგონას ტუალეტში ვიდეო გადაუღო და თავი ციხეში ამოყო

სინგაპურის უნივერსიტეტის სტუდენტს 15 დღით პატიმრობა მიუსაჯეს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ტუალეტში 20 წლის გოგონასთვის კაბის ქვეშ ვიდეოს გადაღებისთვის.

ნანიანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის 22 წლის სტუდენტი მალულად შეჰყვა გოგონას ტუალეტში, კაბინის კედლის ქვეშ ტელეფონი შეაცურა და ვიდეო გადაუღო.

გოგონამ შეამჩნია, რაც ხდებოდა და ამის შესახებ თანაკურსელებს უამბო. ერთ-ერთმა პედაგოგმა პოლიცია გამოიძახა და სამართალდამცავებმა გარყვნილი სტუდენტი დააპატიმრეს. სასამართლოში სტუდენტის ადვოკატმა მის მიმართ გულმოწყალების გამოჩენა მოითხოვა, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის მომენტში მას ფსიქოლოგიური გადახრა აღენიშნებოდა. თავის მხრივ, პროკურორმა განაცხადა, რომ განაჩენი უმკაცრესი უნდა ყოფილიყო, რათა ამის შემდეგ ასეთი ქმედების მსხვერპლმა მსგავსი დანაშაულის თაობაზე უფრო თამამად განაცხადოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დონბასში ბრძოლების ინტენსიურობა გაიზარდა

ყველაზე ცხელი წერტილებია კრემენოე, სვატოვო, სოლედარი, ბახმუტი. ბრძოლები სულ უფრო სისხლიან სახეს იღებს.

უკრაინელი მეომრები განაგრძობენ წინსვლას სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. აქ „რუხი ზონა“ აღარ არსებობს. ის უკრაინელთა კონტროლქვეშაა. თავად სვატოვო და კრემენოე უკვე ალყაშემორტყმულია. დიდია პერსპექტივა იმისა, რომ ეს ქალაქები მთლიანად უკრაინელთა კონტროლქვეშ გადავა.

მეორე ცხელი წერტილებია ბახმუტი და სოლედარი. აქ სიტუაცია განსხვავებულია. უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში სოლედართან მდგომარეობა დაიძაბა. რუსებმა ქალაქთან დამატებითი ძალები გადაისროლეს. შედეგად მათ უკრაინელთა თავდაცვითი ხაზის გარღვევა მოახერხეს. ბრძოლები უკვე სოლედარის ცენტრში წარიმართა. პრეზიდენტ ზელენსკის ბრძანებით სოლედართან დამატებითი ძალები გადაისროლეს. შედეგმაც არ დააყოვნა. რუსები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ და სოლედარის ცენტრი დაეტოვებინათ. ისინი ქალაქის გარეუბნებში გამაგრდნენ. ოკუპანტებმა სოლედარს ქვემეხები დაუშინეს.

უკრაინელი ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი, მიმოიხილავს რა შექმნილ სიტუაციას, ამბობს, რომ ოკუპანტები უკვე არა იმდენად სოლედარის აღებას, არამედ მის დანგრევას ცდილობენ. ქალაქში ერთი მთელი შენობაც აღარაა.

რუსმა ოკუპანტებმა გაავრცელეს ცნობა სოლედარის აღების შესახებ. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ქალაქში ქუჩების ბრძოლებია, სოლედარის ცენტრს კი უკრაინელები აკონტროლებენ.

შედარებით იკლო ბრძოლების ინტენსიურობამ ბახმუტთან. მიზეზი მარტივია: ოკუპანტები იძულებულნი გახდნენ, მოეხსნათ ბახმუტიდან დიდი ძალები და სოლედარისაკენ გადაესროლათ. რუსებმა დატოვეს თავიანთი პოზიციები ბახმუტთან. ამავე დროს, ქალაქის დაბომბვა გაძლიერდა. ბახმუტში, ისევე, როგორც სოლედარში, არცერთი მთელი შენობა აღარ დარჩა. მიუხედავად ამისა, ქალაქს კვლავ უკრაინელები აკონტროლებენ. ბახმუტის ალყაში მოქცევა ოკუპანტებმა ვერ შეძლეს.

ამრიგად, დონბასში ბრძოლების ინტენსიურობა გაიზარდა. ამან რუსი აგრესორის რიგებში დანაკარგების ზრდა გამოიწვია. დღეისათვის უკვე 13.000 რუსი ჯარისკაცია დაღუპული. განადგურებულია დიდძალი სამხედრო ტექნიკა. მხოლოდ გასულ დღეს, თვით „რია ნოვოსტის“ მონაცემებით, რუსებმა 500 ჯარისკაცი დაკარგეს. უკრაინელთა დანაკარგები კი, რუსული წყაროების თანახმად, 100 მეომარია.

შედგა აშშ-ისა და მექსიკის პრეზიდენტების შეხვედრა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი თავის მექსიკელ კოლეგა ლოპეს ობრადორს შეხვდა. საუბარი შეეხებოდა ორი ქვეყნის ურთიერთობებს.

ლოპეს ობრადორმა განაცხადა, რომ აუცილებელია აშშ-სა და მექსიკას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება და უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირის შექმნა. ბაიდენი დაეთანხმა. ამავე დროს, აშშ-ის ლიდერმა მიგრაციის პრობლემების მოგვარების აუცილებლობაზეც ილაპარაკა.

მიმდინარეობს აშშ-შვედეთის მოლაპარაკებები

მზადდება აშშ-შვედეთის ხელშეკრულება თავდაცვის სფეროში. ამ მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

– ხელშეკრულება მოამზადებს სამართლებრივ ბაზას შვედეთში ამერიკული ბაზების განთავსებისათვის და ჩვენს უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს, – აცხადებს შვედეთის თავდაცვის სამინისტრო.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

ბრძოლების ინტენსიურობის ზრდამ რუსი ოკუპანტების რიგებში ახალი დანაკარგები გამოიწვია. დღეისათვის (10.01.2023) სურათი შემდეგია:

ტანკები – 3.084; არტილერია – 2.073; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები – 217; თვითმფრინავები – 285; ვერტმფრენები – 275; უპილოტო საფრენი აპარატები – 1.860; ფრთოსანი რაკეტები – 723; გემები (კატერები) – 17; სპეციალური ტექნიკა – 183;

განადგურებულია 113.000 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

საბერძნეთის უკანასკნელი მეფე გარდაიცვალა

საბერძნეთის უკანასკნელი მეფე კონსტანტინე II გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო სააგენტო ავრცელებს. მონარქი 83 წლის ასაკში ათენის კერძო საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა. მან მანამდე გადაიტანა ინსულტი, ასევე დაუდგინდა კოვიდ-19.

კონსტანტინე II ტახტზე 1964 წელს 23 წლის ასაკში ავიდა. ის იმ დროს უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში ხალხის მხარდაჭერა სრულად გაანიავა გამოვლენილი პოლიტიკური მაქინაციების წყალობით. ამის შედეგად 1967 წელს საბერძნეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება და მეფე იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა.

სამხედრო დიქტატურამ 1973 წელს ქვეყანაში მონარქია გააუქმა, მეორე წელს კი ხალხმა რეფერენდუმზე მხარი დემოკრატიული ფორმის მმართველობას დაუჭირა. ამის შემდეგ კონსტანტინე II ქვეყანაში რამდენიმეჯერ იყო ჩასული ხანმოკლე ვიზიტით, ხოლო სამშობლოში საბოლოოდ დაბრუნება მხოლოდ სიბერეში მოახერხა.

მეფე კონსტანტინე II 1940 წელს ათენში მეფე გეორგ II-ისა და ჰანოვერის პრინცესა ფედერიკას ძმის, პრინც პავლეს ოჯახში დაიბადა. მისი უფროსი და სოფია ესპანეთის ყოფილი მეფის ხუან კარლოს I-ის მეუღლეა. აწ გარდაცვლილი დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ის მეუღლე, პრინცი ფილიპი, მისი ბიძა იყო.

ძაღლი პატრონის დამკრძალავ პროცესიას სათავეში ჩაუდგა და ხალხს გული აუჩუყა

ერთგული ძაღლი წინ გაუძღვა თავისი პატრონის, 94 წლის ქალის დაკრძალვის პროცესიას, რომელიც ირლანდიის ქალაქ ლონგფორდში გაიმართა.

ოქროსფერი რეტრივერი, სახელად ბესი, სათავეში ჩაუდგა მარგო მაგანის დამკრძალავ პროცესიას. ერთგული ძაღლის ფოტოსურათმა, რომელიც გარდაცვლილის შვილმა გამოაქვეყნა, სოციალური ქსელების მომხმარებლებს გული აუჩუყა.

– სულის შემძვრელია, ძალიან სევდიანი, მაგრამ, ამავე დროს, საოცარი ფოტოსურათია! – დაწერა საკუთარ კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– მეც დავკარგე დედა თითქმის ექვსი წლის წინ. ყოველდღე მასზე ვფიქრობ. როგორი საოცარი ფოტოსურათია! ძაღლი ბოლომდე პატრონის გვერდით დარჩა. იმედი მაქვს, რომ მისი ოჯახიდან ვინმე იზრუნებს ამ ძაღლზე, – დაწერა კიდევ ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ანა კალანდაძის სახელობის პრემიის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

ლიტერატურულმა პრემია „ანამ“, რომელიც ანა კალანდაძის ხსოვნას ეძღვნება, გამარჯვებულები დაჯილდოვა. პრემია ქალებსა და ქალ მწერლებს ეძღვნებათ.

ანა კალანდაძის სახელობის ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი ყოველწლიურად, ივლისში გამოცხადდება და მისი ძირითადი მიზანი ქალი ავტორების ხელშეწყობა, წარმოჩენა და წახალისება იქნება. ერთი ნომინაცია შეეხება როგორც ქალ, ისე მამაკაც ავტორებს და გაიცემა ნაწარმოებისათვის, რომელიც ქალის თემას მიეძღვნება.

კონკურსში მონაწილეობის უფლება მიეცათ საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ (გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს) და საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს. კონკურსის ფარგლებში განიხილება კონკურსის გამოცხადების წინა წელს წიგნად გამოცემული თანამედროვე ქალი ავტორის/ების ქართულენოვანი ან/და ქართულ ენაზე თარგმნილი უცხო ენაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები.

კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან ნომინაციებში: ქალი პროზაიკოსი – საუკეთესო პროზაული კრებულისთვის, ქალი პოეტი – საუკეთესო პოეტური კრებულისთვის, ქალი მთარგმნელი – საუკეთესო თარგმანისთვის და ქალის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი. თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა 5000 ლარს შეადგენს. კონკურსის გამარჯვებულს ასევე გადაეცემა სიგელი. ერთისა და იმავე პირის მიერ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვების შემთხვევაში, პრემია გაიცემა თითოეული ნომინაციისათვის.

კონკურსანტს შესაძლებლობა აქვს, საკონკურსო განაცხადი სხვადასხვა ნომინაციაში წარმოადგინოს, თუმცა ერთ ნომინაციაში შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთი ნაწარმოების/კრებულის წარდგენა. კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენისა და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით, მინისტრის მიერ ყოველწლიურად შეიქმნება ლიტერატურის სფეროს აღიარებული სპეციალისტებისაგან შემდგარი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც 5 წევრი იქნება.

ლიტერატურული პრემიის პირველი დაჯილდდოების საზეიმო ცერემონიალი ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში ჩატარდა. ნომინაციაში ქალი პროზაიკოსი – საუკეთესო პროზაული კრებულისთვის დაჯილდოვდა ნორა სიხარულიძე, ნომინაციაში ქალი პოეტი – საუკეთესო პოეტური კრებულისთვის პრემია მიიღო მარიამ წიკლაურმა, ნომინაციაში ქალი მთარგმნელი – საუკეთესო თარგმანისთვის გამარჯვებულად დასახელდა თამარ ლომიძე, ხოლო ქალის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი წელს ვერ გამოვლინდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ისევ ორხელისუფლებიანობა

საქართველოს 82-ე ჩემპიონატი ვაჟ მოჭადრაკეთა შორის საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს.

მეექვსე ტურში ერთმანეთს ლიდერები გიგა ყუფარაძე და მიხეილ მჭედლიშვილი დაუპირისპირდნენ, 85-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ და 4.5 ქულით ისევ ლიდერებად დარჩნენ.

მათი დაწევა გაიოზ ნიგალიძეს შეეძლო, მაგრამ თეთრებით თორნიკე სანიკიძესთან წააგო. თავის მხრივ, სანიკიძემ 4 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ლუკა პაიჭაძემ ნოე თუთისანს სძლია, მერაბ გაგუნაშვილმა და დავით მაღალაშვილმა, ასევე ნიკოლოზ კაჭარავამ და ნიკოლოზ პეტრიაშვილმა ყაიმით ითამაშეს.

სატურნირო მდგომარეობა 6 ტურის შემდეგ: ყუფარაძე, მჭედლიშვილი – 4,5 ქულა; სანიკიძე – 4; გაგუნაშვილი, ნიგალიძე, პაიჭაძე – 3,5; მაღალაშვილი – 2,5; კაჭარავა – 2; პეტრიაშვილი – 1,5; თუთისანი – 0,5.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ვეფხვმა ქალი მისი მეგობრების თვალწინ დაგლიჯა

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ სიდხის მახლობლად ვეფხვმა მოკლა ქალი, რომელიც მეგობრებთან ერთად ხმელ ფიჩხს აგროვებდა.

45 წლის გუდი ბაი ტყეში ფიჩხის შესაგროვებლად რამდენიმე თანასოფლელთან ერთად წავიდა. მოულოდნელად ტყიდან ვეფხვი გამოიჭრა და მას თავს დაესხა. ამის შემსწრე მისმა ერთ-ერთმა ახლობელმა განგაში ატეხა.

სხვა თანასოფლელები შემთხვევის ადგილისკენ გაიქცნენ. მტაცებელმა ქალის დაგლეჯილი სხეული მიატოვა და ტყეს შეაფარა თავი. ბაის სხეულის აღმოჩენის მომენტისთვის ის უკვე მკვდარი იყო.

აღსანიშნავია, რომ ამ ტრაგიკულ შემთხვევამდე 20 დღით ადრე ვეფხვი სხვა ქალს დაესხა თავს. მან სერიოზული დაზიანებები მიიღო, თუმცა ცოცხალი გადარჩა.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ სატყეო მეურნეობის ჩინოსნები მათ მოთხოვნებს უყურადღებოდ ტოვებენ.

– ჩვენ ვეფხვებთან პრობლემები არ გვაქვს. მათ შეუძლიათ, ტყეში იცხოვრონ, ხოლო სპეციალისტებმა მაღალი ღობეები უნდა აღმართონ იმ ადგილებში, სადაც ტყე სოფლებთან ძალიან ახლოსაა. ჩვენი უმრავლესობა ღარიბია და ტყეში სიარული თავის შესანახად ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ტყის ზოგიერთი მონაკვეთი შესაძლოა შემოიღობოს, როგორც ეს საძოვრების შემთხვევაში კეთდება. ეს ადგილები ვეფხვებისგან დაცული უნდა იყოს, – განაცხადა სოფლის წარმომადგენელმა პანჩავატი ბაიგამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● აღკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

იტალიური მედია: შეტევა კატენაჩოს წინააღმდეგ

იტალიური მედიის ყურადღება ნაპოლისა და იუვენტუსის მატჩისკენ არის მიპყრობილი. აპენინელები მიიჩნევენ, რომ ეს იქნება შემტევი გუნდის თამაში კატენაჩოსა და კონტრშეტევის წინააღმდეგ.

გავიხსენოთ, რა ვნახეთ დღევანდლამდე და გადავხედოთ ორი გუნდის ისტორიას. ერთი მხრივ არის სპალეტი, ლამაზი, გამომწვევი ფეხბურთის მოყვარული და მეორე მხრივ ალეგრი ხშირად ულამაზო, სტატიკური თამაშით, მაგრამ დიდებული დაცვით (17 ტურის შემდეგ ყველაზე ნაკლები, 7 გოლი აქვს გაშვებული) და უნიკალური უნარით გაიტანოს გამარჯვების გოლი თუნდაც ისეთი შეხვედრის ბოლოს, რომელიც არაფრით დაგამახსოვრდება.

სადღეისოდ ცხრილის პირველი ორი გუნდის სტატისტიკა და ნაჩვენები თამაში უზრუნველყოფს იმას, რომ მათ შეხვედრას ყველანი მოუთმენლად მოველით და გარკვეული დინამიკაც წარმოგვიდგენია. ნაპოლი შეუტევს, იუვენტუსი" თავს დაიცავს და კონტრშეტევაზე გაამახვილებს ყურადღებას. სხვა სცენარი ნამდვილი სენსაცია იქნება. ამით აპენინელები სპალეტის არჩევანსა და ალეგრის ტრადიციაზე საუბრობენ, მაგრამ ორი გუნდის ისტორიასაც გულისხმობენ.

ნაპოლის ბოლო პერიოდი ასეთია: გუნდი ინიციატივას იღებს ხელთ, თუ ახერხებს შოუს დგამს და ასე ცდილობს შედეგის მიღწევას. იუვეს ისტორია კი ძველია: გუნდის ერთადერთი ფასეულობა არის შედეგი. გატანილი და გაშვებული გოლების რაოდენობაც მრავლისმეტყველია: ნაპოლის საუკეთესო თავდასხმა ჰყავს (39 გოლი), ხოლო იუვენტუსს საუკეთესო დაცვა – ბოლო 8 შეხვედრაში გოლი არ გაუშვია.

ნაპოლი ის გუნდია, რომელიც მეტოქის კარისკენ და კარში ყველაზე ხშირად ურტყამს. კარისკენ დარტყმების რაოდენობით იუვე მე-8 პოზიციაზეა. ამ პარამეტრით მას ბოლო ადგილზე მყოფი კრემონეზეც კი უსწრებს. რაც შეეხება კარში დარტყმებს, ამ მაჩვენებლით ტურინელები მე-7 პოზიციაზე არიან.

ნაპოლის ბურთის ფლობაში სერია ა-ს გუნდებს შორის ბადალი არ ჰყავს; იუვენტუსს კი ბურთი არ აინტერესებს და მე-9 ადგილზეა. პასების რაოდენობით იტალიის ჩემპიონატის ფეხბურთელთა პირველ ოთხეულში „აძურის" სამი ფეხბურთელია: კიმი, დი ლორენცი და ლობოტკა; იუვეს ათეულშიც კი არავინ ჰყავს.

ნაპოლისა და იუვენტუსის მატჩი 13 იანვარს გაიმართება.

საქართველო შოტლანდიას მეექვსედ შეხვდება

2023 წლის 26 აგვისტოს, ზედ მსოფლიო თასის წინ, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები გასახურებელ ტესტმატჩს ედინბურგში შოტლანდიის წინააღმდეგ გამართავს.

თამაში ლეგენდარულ „მარიფილდზე" გაიმართება, რომელც 1925 წელს აშენდა და 67.000 მაყურებელს იტევს. „ბორჯღალოსნები" ამ არენაზე მესამედ, შოტლანდიასთან კი, ჯამში, მეექვსედ ითამაშებენ. აღსანიშნავია, რომ ტიერ 1-ის სარაგბო ქვეყნებიდან მსოფლიო თასს მიღმა სქოთებთან ყველაზე მეტჯერ – 4-ჯერ გვითამაშია. გარდა ამისა, შოტლანდია გახდა ტიერ 1-ის პირველი გუნდი, რომელიც საქართველოში სათამაშოდ ჩამოვიდა. ეს 2019 წლის მსოფლიო თასის წინ მოხდა და, რომ არა კოვიდპანდემია, 2021 წლის ზაფხულშიც გვწვეოდა.

თორნიკე გოგებაშვილი, რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი:

– ჩვენთვის პატივი, გამოწვევა და, რა თქმა უნდა, შესაძლებლობაა მსოფლიო ჩემპიონატის წინ ისეთ გრანდთან თამაში, როგორიც შოტლანდიის ნაკრებია. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად დავინახოთ ჩვენი გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები და მსოფლიო თასისთვის უკეთ მოვემზადოთ.

მეორე მხრივ, ერთგვარი აღიარებაცაა, როდესაც მსოფლიო რაგბის პირველი ეშელონის გუნდი ტესტმატჩების კალენდარში შესაყვანად საქართველოს საკმარისად ღირსეულ მეტოქედ მიიჩნევს. ბოლო 7 წლის განმავლობაში კი საქართველოს ასეთი შესაძლებლობა მეხუთედ ეძლევა. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ყოველთვის შოტლანდია იმარჯვებდა, ჩვენი გუნდისთვის ეს შეხვედრები ყოველთვის იყო სპორტული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი.

2022-ში უმაღლესი ეშელონის, ტიერ 1-ის ზედიზედ ორ ნაკრებზე – იტალიასა და უელსზე გამარჯვება საქართველოს ნაკრებს ამჯერად სულ სხვა ჭრილში წარმოაჩენს და შოტლანდიასთან მისი მორიგი დაპირისპირება გაცილებით მეტ საერთაშორისო ინტერესს იწვევს; შოტლანდიაც თავის საუკეთესო ფორმაშია – შემოდგომაზე მან ახალ ზელანდიასა და ავსტრალიასთან შთამბეჭდავი ორთაბრძოლა გვაჩვენა, არგენტინა კი 52:29 დაამარცხა.

საქართველოს რაგბის კავშირის მთელი სტრატეგია ამჟამად მიმართულია ქართული რაგბის უფრო მძლავრად წარმოსაჩენად საერთაშორისო არენაზე და მსოფლიოს ყველაზე ძლიერ მეტოქეებთან თანასწორ ურთიერთობაზე. ჩვენ გვაქვს მსოფლიო რაგბის მხარდაჭერა, რომელიც, მსოფლიო რაგბის პრეზიდენტ ბილ ბომონტის თქმით, ათქულიან შკალაზე 10-იან შეფასება დაიმსახურა. შედეგებს წელს კიდევ უფრო მკაფიოდ დავინახავთ ქართული გუნდების ახალ და უფრო მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირებში მიწვევის სახით.

„ბორჯღალოსნებისა" და შოტლანდიის ურთიერთშეხვედრების ისტორია სათავეს 2011 წლიდან იღებს, როდესაც მეტოქეს ახალ ზელანდიაში, ინვერქაგილში, მსოფლიო თასზე ღელო არ გავატანინეთ, მაგრამ მეტოქემ მაინც იმარჯვა – 15:6.

2016 წელს შოტლანდიამ ქილმანროქში გვიმასპინძლა და 43:16 იმარჯვა. 2019 წლის მსოფლიო თასის წინ მათ ორჯერ შევხვდით და თბილისში სტუმრებმა 44:10, ხოლო ედინბურგში 36:9 იმარჯვეს. 2020 წელს შოტლანდიას კიდევ ერთხელ ვეწვიეთ „მარიფილდზე" და ამჯერადაც მეტოქემ 48:7 მოიგო.

აღსანიშნავია, რომ შოტლანდიამ „ბორჯღალოსნები" სათამაშოდ პირველად 2008 წელს მიიწვია, ოღონდ მაშინ ა ნაკრებით დაგვიხვდა და 69:3 გაიმარჯვა. შოტლანდიის ა ნაკრებს 2010 წელს ბუქარესტის ერთა თასზეც შევხვდით და 22:21 დავამარცხეთ.

2023 წლის მსოფლიო თასამდე „ბორჯღალოსნები" კიდევ ორ გასახურებელ თამაშს გამართავენ. მეტოქეების ვინაობა უახლოეს პერიოდში დაზუსტდება.

საფრანგეთის მსოფლიო თასი 8 სექტემბერს დაიწყება, საქართველო კი პირველ შეხვედრას 9 სექტემბერს ავსტრალიის წინააღმდეგ გამართავს.

დინამოს მეხუთე მარცხი



თბილისის დინამოს წყალბურთელთა ნაკრები ჩემპიონთა ლიგაში ისევ უქულოდ არის. დეან სტანოიევიჩის გუნდი სერბულ რადნიჩკის ესტუმრა და ზედიზედ მეხუთე მარცხი განიცადა – 10:11.

არადა, პირველი ქულების შანსი იყო – პირველი მეოთხედი დინამომ 3:2 მოიგო, მაგრამ მასპინძლებმა მეორე მეოთხედში ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო მესამეში სულაც წინ გავიდნენ – 9:8.

დასკვნით ნაწილში ჩვენებმა გათანაბრება მოახერხეს, შემდეგ ისევ ჩამორჩნენ, ბოლო წამებზე მატჩის გადარჩენაც შეეძლოთ, მაგრამ დამამთავრებელ ფაზაში ზუსტი დარტყმა არ გამოვიდა.

მომდევნო მატჩს ჩვენები 24 იანვარს ჰანოვერთან გამართავენ, რომელსაც, დინამოს მსგავსად, ყველა წაგება აქვს.

ტორპედომ მაკედონიელი ტალანტი დაიმატა

10 იანვრიდან ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საფეხბურთო ცენტრში ქუთაისის ტორპედომ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო.

ქუთაისური კლუბი დედაქალაქში რამდენიმე დღეს დაჰყოფს, შემდეგ კი თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება, სადაც 15 თებერვლამდე დარჩება.

უკვე დაგეგმილია 6 სპარინგი.

ცნობილია, რომ კახა ჩხეტიანის გუნდის მეტოქეები დანიური ნესტვედი, უკრაინული მეტალისტი და ლვივი, ლატვიური რიგა და მაკედონიური სილექსი იქნებიან.

ახალი სეზონის დაწყებამდე ტორპედომ სატრანსფერო საქმიანობაც დაიწყო. კლუბის ხელმძღვანელობა რამდენიმე ფეხბურთელთა მოლაპარაკებებს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ აწარმოებს.

ქუთაისელებმა უკვე პირველ ტრანსფერიც განახორციელეს – მომავალი სეზონიდან გუნდის ღირსებას 18 წლის ჩრდილოეთ მაკედონიელი დაშმირ ელეზი დაიცავს, რომელიც მანამდე ადგილობრივ კლუბ შკენდიაში თამაშობდა. მაკედონიის მიმდინარე ჩემპიონატში ელეზიმ შკენდიაში 13 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, ტორპედოელთა ახალწვეული, „გარდიანის" ვერსიით, მსოფლიოს 60 ტალანტს შორის მოხვდა. კლუბსა და ფეხბურთელს შორის კონტრაქტი უკვე გაფორმდა.

კახა ჩხეტიანი, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:

– დავიწყეთ მოსამზადებელი პროცესი. გუნდში კარგი განწყობაა. შეკრება რამდენიმე ეტაპად არის დაყოფილი: პირველ ნაწილს თბილისში გავივლით, შემდეგ გავემგზავრებით თურქეთში, სადაც რვა მატჩი გვაქვს დაგეგმილი. ვფიქრობ, ეს მონაკვეთი ფეხბურთელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც ფიზიკური ასევე ტაქტიკური, ტექნიკური და მენტალური თვალსაზრისით. ეს ფეხბურთელებმაც კარგად იციან, რადგან, თუ აქამდე ქუთაისს წარმოვადგენდით, წელს ევროტურნირებზე უნდა ვითამაშოთ, სადაც უკვე საქართველოს წარმოვადგენთ. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა დიდია და ყველას გათავისებული აქვს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქართველების დომინირებით – ძიუდოს ვებგვერდმა ჩვენებურები გამოარჩია

მსოფლიო ძიუდოს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა სპორტულმა გამოცემა ჯუდოინსაიდმა საქართველოს მამაკაცთა ძიუდოისტთა ნაკრებს სტატია მიუძღვნა.

ძიუდოს 2022 წლის ბოლო ღონისძიება იერუსალიმის მასტერსი იყო. ახლა კი იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, სადაც საქმე 2024 წლის ოლიმპიადისთვის ქულების მოპოვებას ეხება.

აი, რას წერია ვებგვერდზე:

– ვინ იფიქრებდა, რომ წლების განმავლობაში ძიუდო ასეთი მნიშვნელოვანი სპორტი გახდებოდა ისრაელში. მედლების ცხრილმა კარგად აჩვენა მსოფლიო ძიუდოს სიძლიერე, სადაც სამი საშეჯიბრებო დღის შემდეგ იაპონია ლიდერობდა, ხოლო კუდში მოჰყვებოდნენ საფრანგეთი და საქართველო.

მამაკაცთა წონით კატეგორიებში ვხვდებით ქართველი სპორტსმენების დომინირებას, რომლებიც რეიტინგის სათავეში არიან. ისევე, როგორც შარშან, ლაშა შავდათუაშვილი 73 კგ წონითი კატეგორიის ლიდერია. ეს არის წონითი კატეგორია, სადაც 2-გზის მსოფლიო ჩემპიონი შოჰეი ონო მოულოდნელად დაემშვიდობა ძიუდოს, როგორც მოქმედი ძიუდოისტი.

ძიუდოს გულშემატკივრები ელოდნენ, რომ ონო 2024 წელს პარიზში ძიუდოს ლეგენდასა და 3-გზის ოლიმპიურ ჩემპიონს ტადაჰირო ნომურას გაუტოლდებოდა. თუმცა ონოს სხვა გეგმები ჰქონია და დიდ ბრიტანეთში მწვრთნელად წავიდა, ისევე, როგორც მისი მწვრთნელი კოსეი ინუე აკეთებდა წლების წინ.

ოლიმპიური ჩემპიონი 73 კგ წონით კატეგორიაში – ლაშა შავდათუაშვილი კვლავ ნომერ პირველია და ერთადერთი ქართველი არ არის, რომელიც საკუთარ წონით კატეგორიას ლიდერობს.

წლევანდელი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ტატო გრიგალაშვილი 2021 წელს რეიტინგშიც პირველ ადგილზე იყო, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი წითელი არშიით დაადასტურა.

ასევე 100 კგ-მდე კატეგორიაში ილია სულამანიძე დომინირებს, რომელიც მსოფლიოს პირველი ნომერია. შეიძლება ითქვას, რომ სულამანიძე მისი თანაგუნდელისა და კაპიტნის ვარლამ ლიპარტელიანის დომინირების გზას ნამდვილად დაადგა. ილია ყველაზე ახალგაზრდა (21 წლის) მსოფლიო რეიტინგის ლიდერია. შემდეგ გრიგალაშვილია, რომელიც სულ რაღაც 23 წლის არის. საინტერესო ფაქტია, რომ შავდათუაშვილი 2012 წელს 20 წლის ასაკში 66 კგ წონით კატეგორიას ლიდერობდა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 3. ადამიანი, რომელიც მკაცრად იცავს ზნეობას; 4. დოსტოევსკის რომანი; 5. უმოტორო თვითმფრინავი; 6. თხზულება „აბდულმეჯიანის" ავტორი; 11. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 13. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 14. ატმოსფეროს ზედა ფენა; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 18. ფულადი ჯილდო; 19. საქონლის, პროდუქტის სუფთა წონა შეუფუთავად.

თარაზულად: 7. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 8. გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის სახელწოდება; 9. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი; 12. ორკორპუსიანი გემი; 14. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში ბურთით; 16. ფრანგული ლიქიორი; 18. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 20. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. დროის ისტორიული მონაკვეთი; 22. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 23. უბანი თბილისში; 24. რაიონული ცენტრი გურიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პროცესი; 2. თამადა; 3. ახტაჯანა; 4. მიცუბიში; 7. ფიროსმანი; 8. ჩხიკვაძე; 12. გიორგობა; 14. პარაგვაი; 16. ალგებრა; 17. იარლიყი; 19. ბაშო; 20. როტა.

თარაზულად: 5. ბრასკუბა; 6. ჩიხტიკოპი; 9. ბენეტი; 10. დურუჯი; 11. ფიჭვი; 13. გინზა; 15. ხარება; 18. ფლატე; 21. ხვანჭკარა; 22. ბეროუზი; 23. ბოღვერა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაროდია; 2. ჩხუტი; 3. კაკანათი; 4. ვარანი; 5. ავსტრია; 6. ნოკაუტი; 11. იგავი; 13. რუსტიკა; 14. კონსტებლი; 15. ცუგცვანგი; 17. რიბოკი; 18. კოზაკი; 19. ჯამე.

თარაზულად: 7. მარეხი; 8. საქართველო; 9. ტოიოტა; 10. მალაქიტი; 12. საფრანგეთი; 14. კვარცი; 16. კრასნოვი; 18. კინოლოგი; 20. აზოტი; 21. თვე; 22. კონკლავი; 23. შუნი; 24. მემორიალი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 იანვარი

აშშ დოლარი — 2.6867

ევრო — 2.8871

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2598

100 რუსული რუბლი — 3.9148

ამინდის პროგნოზი 12 იანვრისათვის

ერიკ ტენ ჰაგი: „მანჩესტერი ძალიან კარგ ფორმაშია“

მანჩესტერ იუნაიტედმა ჩარლტონი დაამარცხა 3:0 და ინგლისის თასის ნახევარფინალში გავიდა. მატჩის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა ერიკ ტენ ჰაგმა განაცხადა, რომ თავისი გუნდით კმაყოფილია და მომავალში მანჩესტერი კიდევ უფრო კარგ შედეგს აჩვენებს: „პროგრესს ყოველდღე ვხედავ და ეს ძალიან მიხარია, თუმცა კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ სტაბილურად მაღალ დონეს მივაღწიოთ“.

ხავი: „ბეტისი ძლიერი გუნდია“



ბარსელონა ესპანეთის სუპერთასის ნახევარფინალში ბეტისს დაუპირისპირდება. მატჩის წინ ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავიმ კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, ბეტისის წინააღმდეგ თამაში იოლი არ იქნება: „ბეტისმა წარსულში ხშირად შეგვიქმნა პრობლემები, ამიტომ მათთან იოლ მატჩს არ ველი. ჩვენ ბარსელონა ვართ და ყოველთვის მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძვით. მინდა, რომ ბარსელონაში ტიტულით დავბრუნდეთ“.

მიკელ არტეტა: „ჩვენთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია“

არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია და ის არ აპირებს რომელიმე შეხვედრაზე აქცენტის გაკეთებას: „მინდა, რომ არსენალმა ყველა თამაშს ისე შეხედოს, როგორც უკანასკნელს და მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ წარმატებას. არსენალი მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

რიტა ორა საზოგადოებაში უბიუსტჰალტეროდ, გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი წარდგა

პოპულარული პოპშემსრულებელი რიტა ორა საზოგადოებაში ეროტიკულ სამოსში გამოწყობილი გამოჩნდა და საკუთარი ფანები გააოგნა. ამ მოვლენის ამსახველი კადრები ერთ-ერთმა ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

32 წლის ცნობადი სახე „ოქროს გლობუსის“ ცერემონიის წინ გამართულ წვეულებას სტუმრობდა, რომელიც დასავლეთ ჰოლივუდში გაიმართა. აღნიშნული ღონისძიებისთვის მომღერალმა გრძელი იასამნისფერი კაბა შეარჩია, რომელიც გამჭვირვალე ქსოვილისგანაა დამზადებული. გამოქვეყნებულ კადრებში ჩანს, რომ პოპვარსკვლავმა უარი თქვა ბიუსტჰალტერზე. მას, ამავე დროს, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, თმა უკან შეკრული და სახის გასწვრივ ორ რიგად ჩამოშვებული ჰქონდა.

გამოცემის მკითხველები რიტა ორას ასეთმა გარეგნობამ გააღიზიანა და ეს მათ საკუთარ კომენტარებში არც დაუმალავთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 იანვრისათვის

ვერძი – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **კურო** – საყიდლებზე წასვლას პლანეტები არ გირჩევენ. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **კირჩხიბი** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **ლომი** – საოჯახო საქმეები დიდ დროსა და ენერგიას დაგახარჯვინებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ერიდეთ წვრილმან საქმის გარჩევებს. **ქალწული** – ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **სასწორი** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია. **ღრიანკალი** – ფინანსური სიძნელეები შეგხვდებათ. მეგობრები ყოველგვარ გასაჭირში უყოყმანოდ დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. აგრესიისა და ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

განცხადება ზოოპარკში:

– პატივცემულო მაიმუნებო! ამას თქვენ უფრო მალე გაიგებთ, ადამიანებს საჭმელს ნუ გამოართმევთ!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ქუჩაში ლამაზ მამაკაცებს ყოველთვის მაშინ ვხვდები, როდესაც თავად ცუდად გამოვიყურები.

– ყოველდღე ამდენ ლამაზ მამაკაცს სად ხვდები?

●●●

გოგონა ბიჭს სმს-ს უგზავნის:

– დღეს ჩემთან ამოდი! მამაჩემი ხელს ვერ შეგვიშლის. ფეხი დაიზიანა და წევს, ვერ დგება.

საპასუხო სმს:

– დიდი სიამოვნებით ამოვიდოდი, მაგრამ ძალიან მტკივა ის ადგილი, რომელზეც მამაშენმა ფეხი დაიზიანა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ მიდის შენი ჩინური ენის შესწავლა?

– რა გითხრა... ჩინელები უკვე ხვდებიან, რომ ჩინურად ვლაპარაკობ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ხვდებიან, რას ვეუბნები.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა, რა აზრის ხარ ჩვენს მთავრობაზე?

– სიმართლეს არ შეესაბამება ის შეხედულება, რომ ხელისუფლებაში მხოლოდ არაწესიერი ადამიანები მუშაობენ.

– აბა, როგორები?

– ვიყოთ ობიექტურები, არაკომპეტენტურებიც.

●●●

ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, მართლა ძალიან გიყვარვარ?

– რა თქმა უნდა, შვილო.

– მაშინ ცოლად იმ ბიძიას გაჰყევი, ქუჩის კუთხეში ნაყინით რომ ვაჭრობს.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– სიზარმაცის შემოტევა თუ გემართება?

– არა, დროდადრო აქტივობის შემოტევას ვგრძნობ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დოდონა ნამორაძემ ბერძნული „ვოისის“ ნოკაუტების ტური მოიგო



ქართული „იქს ფაქტორისა“ და „ნიჭიერის“ შემდეგ მომღერალმა დოდონა ნამორაძემ ბერძნულ „ვოისშიც“ მიიღო მონაწილეობა და რჩეულთა შორისაც მოხვდა.

დოდონას ბრმა მოსმენებზე ოთხივე მწვრთნელი შემოუბრუნდა და ნიჭიერი მომღერალი ტურიდან ტურში წარმატებით გადადის.

მან რინგის ტურში გამარჯვება მოიპოვა და ფინალში მოხვედრის შანსი კიდევ უფრო განიმტკიცა.

ნატო გელაშვილი ბებია გახდა

მომღერალი ნატო გელაშვილი პატარა ბიჭის ბებია გახდა. გიორგი ჭოხონელიძესა და ანეტა ნიკურაძეს ლუკა შეეძინათ. ახალშობილი ჩაჩავას კლინიკაში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს:

– ყველას, ვისაც გიყვართ და არ გიყვართ ნატო,??ვინც იცნობთ და ვინც არ იცნობთ ნატოს, მინდა ვუთხრა და ყველაზე მაღალი ნოტი ავიღო ჩახლეჩილი ხმით და მივაწვდინო ცისკიდეს ხმა, რომ ჩემს ცხოვრებაში ახალი ერა იწყება. 2011 წლიდან დღემდე ჩემი ოჯახის წევრების ფიზიკურ კლებადობას ვითვლიდი ერთმანეთის მიყოლებით.

მხოლოდ ეს ორი ბიჭი – ლუკა და გიორგი ჭოხონელიძეები იყვნენ ჩემი ჭირ-ვარამისა და სიხარულის მეგზურნი ამ ხნის მანძილზე. დღეს ოჯახის წევრთა მატებაა, ჩემი ოჯახის გარშემოწირულობის ორბიტა გაიზარდა უსასრულობამდე. მადლობა ამისათვის უფალს, ჩემს ანეტა ნიკურაძეს, ყველას, ვინც ჩემთან ერთად ღირსეულად გალეწეთ ჩემი განვლილი ცხოვრების „კალო“. წინ უფრო მეტია გასავლელი გზა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მიყვარხართ. ბედნიერება გქვია შენ, ჩემო პატარა ანგელოზო, კეთილი იყოს შენი მობრძანება, ბებო, პატარა ლუკა ბიჭო!

ერეკლე დეისაძე: „სანამ ვინმეს დაუძახებთ გაყიდულს, საკუთარ სივებს ჩახედეთ“

ასე მიმართავს მწერალი და მომღერალი ერეკლე დეისაძე კრიტიკოსებს:

– „მორალის პოლიცია“ ითხოვს, რომ იმ ადამიანებთან დავჯდე სასაუბროდ, ვისაც თვითონ მისცემენ ლეგიტიმაციას. ეს უფრო საინტერესო სურათია, რადგან უმეტესწილად კრიტიკის აქცენტი იმაზე კეთდება, რატომ მივეცი თავს უფლება, მათთვის მიუღებელ პერსონასთან დავმჯდარიყავი კითხვებზე პასუხის გასაცემად. სხვათა შორის, იმავე თემებზე ვსაუბრობ ნიკო ნერგაძესთან რამდენიმე თვის წინ დადებულ „რადიო თავისუფლების“ ინტერვიუში. უბრალოდ, აქ პერსონისადმი მიუღებლობამ დაგეშათ.

ეს ხალხი ოდითგანვე ექსკლუზიურობას ფლობს გამოხატვის თავისუფლების დაცვაზე, რასაც ხშირად მაყვედრიან და 2010 წლის სკანდალურ დებიუტს მახსენებენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ისინი მხოლოდ საკუთარი გამოხატვის თავისუფლებისთვის იბრძვიან, რადგან სხვებს მისი სარგებლობის ლეგიტიმაციასა და რეცეპტს თავად უდგენენ. თუ ვინმემ გაბედა და მათ წესებს გადაუხვია, ავტომატურად ირთვება ცილისწამების საკითხი. ხომ არ გაიყიდა? რამდენი აიღო? ამას წერენ სხვის კაპიტალზე მომჯდარი პარაზიტები, ბიზნესზე რეკეტით მოპოვებული ფულით დაფინანსებული ტუსოვკის შვილები, რომლებმაც იწამეს ფეისბუქზე რუსეთთან ბრძოლის ექსკლუზიურობა და, თუ მათ დისციპლინასა და ფორმებს არ იმეორებ, ავტომატურად გრიყავენ, ამიტომ ჰგვანან „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ და „ლიბერალ მშობელთა კავშირი“ ერთმანეთს. პოზიციები აქვთ სხვადასხვა და ტაბურეტკებით სირბილი იმიტომ არ შეუძლიათ, რომ კულტურულ უმრავლესობაში არ არიან. ისინი გმობენ პირადი ცხოვრებით შანტაჟს, მაგრამ, მზად არიან, თვითონ დააშანტაჟონ პოლიტიკური ოპონენტი შეთითხნილი ბრალდებით. ისინი გმობენ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, მაგრამ, მზად არიან, ხელმოწერები შეაგროვონ არასასურველი არხის დასახურად, ამბობენ, რომ მათი სხეული მათი საკუთრებაა, მაგრამ, ვინც აცრაზე უარი თქვა, მოითხოვდნენ, იძულებით აეცრათ ან საავადმყოფოებს არ მიეღოთ სამკურნალოდ, რათა კრიზისული ვითარების გამო პალატაში ადგილი არ დაკავებულიყო. ისინი მიდრეკილი არიან პრივილეგიებისკენ, მათაც ჰყავთ საკუთარი მიკრობიძინა. ისინიც მზად არიან, მათი დამფინანსებლების გამო ყველაფერი იკადრონ. ისინი, სინამდვილეში ვისაც ებრძვიან, იმას აძლიერებენ. ამას იზიარებს მოსახლეობის უმრავლესობა მათი პოლიტიკური დღის წესრიგისადმი უნდობლობითა და უარის თქმით. ამიტომ, სანამ ვინმეს დაუძახებთ გაყიდულს, საკუთარ სივებს ჩახედეთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პოლიციელი მაიმუნისგან თავის დაღწევის მცდელობას ემსხვერპლა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ ბულანდშახრში პოლიციელი, რომელიც ცდილობდა, თავი დაეცვა მაიმუნებისგან, რომლებიც მას თავს დაესხნენ, საკუთარი სახლის სახურავიდან გადმოვარდა და დაიღუპა.

პოლიციელი ლალ სინგხი საკუთარი სახლის სახურავზე სარეცხს ფენდა, როდესაც მოულოდნელად თავს მაიმუნების გუნდი დაესხა. მამაკაცი შეშინდა და შეეცადა, მათ გასცლოდა. ამ დროს ფეხი დაუცდა, სახურავიდან გადმოვარდა და ტერასაზე დაეცა. აღნიშნული შემთხვევის შედეგად პოლიციელმა სერიოზული დაზიანებები მიიღო. ის სასწრაფოდ იქნა საავადმყოფოში გადაყვანილი, მაგრამ, მიუხედავად ექიმების მცდელობისა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. გულის ნაწილი; 2. სიყვარულის, სილამაზის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 3. სასიგნალო მოწყობილობა რკინიგზაზე; 4. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 7. მტკიცება, რომელიც აღიარებულია რომელიმე თეორიის ამოსავალ დებულებად, დასაბუთების გარეშე; 8. ცნობილი ქართველი ექიმი-ჰომეოპათი; 12. ნანადირევისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩანთა; 14. საკანონმდებლო ორგანო აშშ-ში; 16. ალუმინის შემცველი მინერალი; 17. დარბაზის ფეხბურთი; 19. ყველაზე ღრმა ტბა საქართველოში; 20. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

თარაზულად: 5. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ალპებში გავრცელებული თეთრი ყვავილი; 9. ქალაქი იტალიაში, სადაც ტარდება საოპერო მომღერლების საერთაშორისო ფესტივალი; 10. მეთევზეთა, მეზღვაურთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ ფეხბურთელი; 13. კომპანია „ტესლას“ მფლობელი; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 21. გეოდეზიური ხელსაწყო; 22. პრინცესას ტიტული ესპანეთში; 23. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა